ალია

N192 /3315/ 23 დეკემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## მსხვერპლი თუ ცივსისხლიანი მკვლელი? - მაგდა პაპიძის საქმე და ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები



13

## ვალერი გელბახიანი: „როცა შენი მოქალაქეების უფლებებს ვერ იცავ, არ უნდა იტრაბახო, რადგან ეს ტრაბახი გამაღიზიანებელია მათთვის, ვინც იცის, რა ხდება“

4

რა მოიტყუა პრემიერმა სამწლიანი საქმიანობის შეჯამებისას?



## ზაზა ხატიაშვილი თეა წულუკიანს, მანანა კობახიძეს და ეკა ბესელიას ამხელს!

3

„ყველამ დამალა. ამათ მოვუწყობ შავ დღეს!“



თინა ხიდაშელი მურუსიძის კანდიდატურაზე — ირინა ენუქიძე უნდა გვახსოვდეს, როდესაც ასეთი ტიპის გადაწყვეტილებებს მივიღებთ

13

რუსეთმა ვიზების მიღება გაგვიმარტივა

3



საპატრიარქოსთან ახალგაზრდა მამაკაცმა თვითდაზიანება მიიყენა

4



# რამდენი ტყუილია „ენდიაი“-ს კვლევებში?

11

## მარიამ რამინაშვილი: „პრემიერმა განათლების სისტემაზე საუბრისას საზოგადოებას სიცრუის შემცველი ბევრი ინფორმაცია მიაწოდა“

12

„ვფიქრობ, პრემიერი უნდა ამოწმებდეს ინფორმაციას და მაღალი ტრიბუნიდან ტყუილებს არ უნდა საუბრობდეს“



## ვინ უნდა გააკონტროლოს „საიდუმლო შესყიდვები“?

7-მა უწყებამ 747,5 მილიონი დახარჯა, დანარჩენები მალავენ...

6



დავით პეტრიაშვილი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის დაჯახების შედეგად გარდაიცვალა

13



საბერძნეთში ქართველი „კანონიერი ქურდები“ დააკავეს

5



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...




## საკაშვილს ცემაში გავხევო, ტიმოშენკო მეძავიაო... მოკლედ, მაგარი ამბებია უკრაინაში...




უკრაინელმა ოლიგარქმა, იგორ კოლომოისკიმ გამოცემა „პოლიტიკოს“ სკანდალური ინტერვიუ მისცა.

კოლომოისკიმ უკრაინული პოლიტიკური სპექტრის მოთამაშეებზე საკმაოდ უხეშად ისაუბრა. მან უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ვიქტორ იანუკოვიჩის რეინკარნაცია უწოდა.

– ეს იგივე სისხლია, იგივე ხორცის რეინკარნაცია. თუ იანუკოვიჩი უვიცი დიქტატორი იყო, პოროშენკო განათლებული უზურპატორია, საკუთარი ძალაუფლების მონა, რომელიც აბსოლუტური ძალაუფლებისკენ მიიწევს, – განაცხადა კოლომოისკიმ.

ოლიგარქმა იულია ტიმოშენკოზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მას მხარს არ უჭერს:

– მე არ შემიძლია მისი მხარდაჭერა იმიტომ, რომ ის მეძავია. შეუძლებელია ცოტათი ფეხმძიმედ იყო. არ შეიძლება თამაშობდე ოპოზიციონერის როლს და ამავდროულად მთავრობაში იყო. ეს ამორალურია...

რაც შეეხება ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს, მასზე საუბრისას ოლიგარქმა პირობა დადო, რომ, როგორც კი სააკაშვილი პოსტს დატოვებს, ის მას აუცილებლად გალახავს.

– სადმე რომ დავინახო, თავს გავუტეხ. როგორც კი პოსტს დატოვებს, ძაღლივით ვცემ, – ამბობს კოლომოისკი.

მისი თქმით, სააკაშვილისადმი ყოველთვის ასეთი დამოკიდებულება არ ჰქონია. 2011 წელს ისინი ერთად ისვენებდნენ ხორვატიაში, იახტაზე.

– საყვარელთან ერთად იყო, თავის დიდძუძუებიან ეკონომიკის მინისტრთან ერთად. მე ფულიც კი მივეცი სააკაშვილს, როდესაც კენჭს იყრიდა, – აღნიშნა კოლომოისკიმ.

ის, აგრეთვე, ყვება, რომ სანამ სააკაშვილს გუბერნატორად დანიშნავდნენ, დნეპროპეტროვსკში იმყოფებოდა. მაშინ ის ამბობდა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო კოლომოისკის მუშაობით.

– გვაქო და გვადიდა, ქართულ სადღეგრძელოებს გვიძღვნიდა. გვეუბნებოდა, მშვენიერი ხალხი ხართო, მაქებდა, პუტინის ნომერ პირველი მტერი შენ ხარო. შემდეგ კი წავიდა და ჩემი თანამებრძოლის, პალიცინის პოსტზე დანიშვნა სთხოვა პოროშენკოს, – ყვება კოლომოისკი.

შეგახსენებთ, ოდესის გუბერნატორის პოსტზე დანიშვნისას სააკაშვილმა კოლომოისკი „ბანდიტად“ და „კონტრაბანდისტად“ მოიხსენია, ოლიგარქმა კი მას „სადრუნჩის გარეშე მყეფავი ძაღლი“ და „ჟღვინტლიანი ნარკომანი“ უწოდა. (ambebi.ge)

**სულ იმას ვამბობდი და ვფიქრობდი, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, მაგრამ კარგად ამიხსნეს და მიმახვედრეს - პოლიტიკას ბინძური ადამიანები ქმნიანო და აგერ, ბატონო, გადასარევი მაგალითი!..**

**გინდ საქართველოში, გინდ უკრაინაში, თუ გნებავთ, რა ვიცი, ბოსტვანაში, ჯერ ერთმანეთს ელაქუცებიან, ლოკავენ, შემდეგ კი როგორც კი რაღაც არ მოეწონებათ, თუნდაც სულ ყველაზე უმნიშვნელო რამ, ისეთ ტალახს ესვრიან ერთმანეთს, მტკვარი აქეთ დაგვრჩეს, ამაზონიც რომ ველარ გარეცხავს.**

**და ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ, ხალხმა რა ქნას, როდემდე უყუროს ამ მარაზმს და ამდენ მამაძაღლობას?**

**ისე, კოლომოისკის რომ შნო ჰქონდეს, ახლაც გალახავდა სააკაშვილს, თუმცა დაველოდოთ, მაგან თუ ასე გააგრძელა, დიდხანს თანამდებობის შენარჩუნება ნამეტანი გაუჭირდება და ვნახოთ, რა მოხდება...**

**უი, ჰო — ნეტა, ის დიდძუძუებიანი მინისტრი ეხლა სადღა მინისტრობს... ჰა?**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოოო, მოუღწევია „ალიას“ სტატიას თქვენამდე, ბატონო მერო... კარგია, გადასარევია!



თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრებს 29-30 დეკემბერს დაურიგებენ. ამის შესახებ ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, რომ ზოგიერთ ბაღში თოვლის ბაბუა მივიდა, თუმცა ბავშვებს საჩუქრები არ მისცა.

– საჩუქრები რიგდება 29-30 დეკემბერს. ასე იყო გათვალისწინებული. მიმწოდებელი კომპანია შერჩეულია, არის კონტრაქტი და შესაბამისად, ყველა ბავშვი მიიღებს საჩუქარს, – განაცხადა ნარმანიამ.

რაც შეეხება თოვლის ბაბუის ზეიმებზე მისვლას, როგორც ნარმანიამ აღნიშნა, თოვლის ბაბუა არავის არ ჰყავს დაპატიჟებული.

– ვიღაცა, როგორც ჩანს, თვითინიციატივით დადის, – აღნიშნა ნარმანიამ. (ინტერპრესნიუსი)

**თვითინიციატივით არა თვითლუსტრაციით „კიდო“!**

**საახალწლო ზეიმი რომ აქვთ ბავშვებს, ბუნებრივია, თოვლის ბაბუაც ჰყავთ ხოლმე, რომლის როლსაც, როგორც წესი, საბავშვო ბაღის რომელიმე თანამშრომელი ითავსებს.**

**ჰოდა, ზეიმზე ხელცარიელი თოვლის ბაბუა რომ მივა, ეგ არის კვერცხობა, ეგ დაწერა „ალიამ“.**

**„პოსლეზე“ თოვლის ბაბუის საახალწლო საჩუქარი არ გაგვიგია ჩვენ, კაცო, რა უბედურებაა, საიდან მოიგონეთ ეს სისულელე?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა ღირს სკანდალური კაბა, რომელიც პრემიერის მეუღლეს, ნანუკა ჟორჟოლიანსა და ანიტა რაჭველიშვილს ეცვათ



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მეუღლესთან ერთად, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საახალწლო მიღებაზე უმასპინძლა.

პრემიერის მეუღლე ნუნუკა თამაზაშვილი მესამე მშობიარობის შემდეგ იდეალურად გამოიყურებოდა და შავ-თეთრ ფერებში გადაწყვეტილი კაბა ეცვა.



„ნიჭიერის“ ჟიურიში მსგავს ფორმაში იყო ნანუკა ჟორჟოლიანიც, რითაც მაყურებლის რეპლიკები დაიმსახურა, რომ ნუნუკას მიბაძა. ამით აღშფოთებულმა ჟორჟოლიანმა სოციალურ ქსელში დაწერა:



– ისეთი ამბავი მოჰყვა ჩემს ჩაცმულობას... ვიღაცები ფიქრობენ, რომ ნუნუ თამაზაშვილისთვის მიმიბაძია. ძლივს მივხვდი ჯერ, ვინ იყო ნუნუ... წარმატებული დღე და ბევრი მახათი, უსაქმურებო, – წერს ნანუკა.

მოგვიანებით ისიც დაამატა, რომ კაბა ნუნუკამდე ოპერის მომღერალ ანიტა რაჭველიშვილს ეცვა.

კაროლინა ჰერერას არისტოკრატული კაბა 2014 წლის კოლექციიდანაა და ორ ფერშია გადაწყვეტილი. კლასიკური დიზაინის ქალური თეთრი პერანგი ხაზს უსვამს ქალის მხრებს და გრძელ, მასიურ შავ კაბას ერწყმის. ამ სტილს განსაკუთრებულად უხდება ბრილიანტის საყურე. კაბა 4290 დოლარი ღირს.

ნუნუკას კაბა ორიგინალია, თუმცა როგორც ჟორჟოლიანმა დაწერა, მისი, სავარაუდოდ, ქართველი დიზაინერის შეკერილია. (etanews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი სანქციების ავტომატურად გახანგრძლივების გადაწყვეტილება ძალაში შევიდა



რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი სანქციების ავტომატურად გახანგრძლივების გადაწყვეტილება შევიდა ძალაში.

ევროკავშირის საბჭოს შესაბამისი დადგენილება 22 დეკემბერს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა.

შეზღუდვები 2016 წლის 31 ივლისამდე იმოქმედებს. რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გახანგრძლივება 18 დეკემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების საბჭოს სხდომაზე გადაწყდა. დასავლეთი აღნიშნულ გადაწყვეტილებას მინსკის სამშვიდობო ხელშეკრულების შეუსრულებლობას უკავშირებს. (ინტერპრესნიუსი)

## მე მკვლელი შვილი არ გამიზრდია — ლია შამუგია



ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის სასამართლო პროცესს ესწრებოდა პაპიძის დედა ლია შამუგია, რომელიც დარწმუნებულია, რომ დანაშაული მისი შვილის მიერ არ არის ჩადენილი.

ლია შამუგიამ სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარში აღნიშნა, რომ მის შვილსა და სიძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა არ იცის, ბოლოს რა მოხდა.

– კონფლიქტში კი იყვნენ, მაგრამ ამას არავინ მოელოდა. ძალიან თბილად, მშვიდად მყავს ჩემი შვილი გაზრდილი. ეს არის შოკი ჩემთვის, იცით, როგორი დედა იყო? იშვიათი. ვერ ვიტყვი ჩემს შვილზე, რომ ის მკვლელია. მე მკვლელი შვილი არ გამიზრდია. იცით, როგორი გაზრდილი გვყავს თორნიკე?! – განაცხადა ლია შამუგიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ აბორტი აკრძალა



აფხაზეთში აბორტი აკრძალეს. აღნიშნული გადაწყვეტილება, აფხაზეთის რეგიონულმა პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო.

– ბავშვები – ეს ნებისმიერი სახელმწიფოს საყრდენსა და მომავალს წარმოადგენს, ბავშვი – ეს ადამიანების რასის გაგრძელებაა, ანუ აფხაზეთის რასის გაგრძელება. კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის ხელისუფლება, ადამიანის დაბადების მომენტიდან მისი უფლებების დაცვის გარანტიას იძლევა, – განაცხადა ერთ-ერთმა დეპუტატმა.

მისი თქმით, აღნიშნული კანონის დარღვევის შემთხვევაში, დამნაშავის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, გამონაკლისების გარეშე.

კანონს, 35 დეპუტატიდან 25-მა მისცა ხმა, საიდანაც ორი წინააღმდეგი იყო, ხოლო ორმა თავი შეიკავა არჩევანის დაფიქსირებისგან. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „როგორი ხალისით ისწავლე ლექსი დედაზე... რა დაუშავე დედიკოს“ — მოკლული ბავშვის მასწავლებლის ემოციური პოსტი



დიღმის მასივში, ფერაძის ქუჩაზე მოკლული 5 წლის ბავშვის ბაღის მასწავლებელი სოციალურ ქსელში აღსაზრდელს ემოციურ პოსტს უძღვნის:

– ჩემს პატარა წიწილებს ერთი პატარა ანგელოზი გამოაკლდა... რომ შემეძლოს, ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი და გაჩუქებდი სიცოცხლეს. დღეს ყველაფერი დუმდა, ყველაფერს ხალისი ჰქონდა დაკარგული... დღეს მთელი დღე ჩემი თვალები შენ გეძებდა... ყველა შენზე ვსაუბრობდით, შენი მეგობრები დუმდნენ, ხმას არ იღებდნენ, ვერ გაეგოთ, რა მჭირდა...

ბოლოს გადავწყვიტე და შენს მეგობრებს ვუთხარი, რომ შენ გადაწყვიტე, წასულიყავი ცაში, სადაც ცხოვრება ლამაზია, მშვენიერი და ყველა ანგელოზია... მაგრამ ჩვენთან ერთად იქნები ყოველთვის და ჩვენს გულებში, თან იციან, რომ შენ ცაში ხარ და იქიდან გვიყურებ... მაგრამ ჩემს ჭკვიანებს კითხვები დაებადათ:

– თოკო ივლის ბაღშიო?

– იქ ეყოლება მეგობრებიო?

– ჩვენ ხომ არ დავავიწყდებითო?

იცი, შენზე ზრუნავენ და დარდობენ, ჩემო თბილო... ძალიან დაგვწყვიტე გული...

ჩემი მხიარული, ჩემი ცელქი და სიცოცხლით სავსე თოკო, (ჩემთვის წოწო) როგორ გიხაროდა ცხოვრება, როგორი ხალისით ისწავლე, ჩემო პატარა, ლექსი დედაზე... რა დაუშავე ჩემო პატარა, შენს დედიკოს, – წერს თეო მეშვილდიშვილი. (ნიუპოსტი)

## რუსეთმა ვიზების მიღება გაგვიმარტივა



რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებს ვიზების მიღება გაუმარტივა, ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყება ავრცელებს:

– რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციის კონტექსტში და ორ ქვეყანას შორის პოზიტიური ტენდენციების სტიმულირებისთვის 2015 წლის 23 დეკემბრიდან საქართველოს მოქალაქეებს გაუფორმდებათ საქმიანი, სასწავლო და ჰუმანიტარული ვიზები ნებისმიერი რაოდენობის და ასევე, კერძო ვიზები დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არა ნათესაური კავშირი მოწვევის გამომგზავნსა და მიმღებს შორის.

რუსული მხარე კვლავაც გააგრძელებს, გადადგას ნაბიჯები, რომელიც მიმართულია ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის ურთიერთობის გამარტივებისკენ, ამასთანავე, არ გამორიცხავს შემდგომში ნაცვალგების პრინციპით უვიზო რეჟიმის შემოღებასაც, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში. (ნიუპოსტი)



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დიდი გარჩევებია. როგორც ჩანს, უკვე ბევრ მოსამართლეს დააკარგვინა მოსვენება ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის განცხადებებმა ლევან მურუსიძესთან დაკავშირებით, რომელსაც სააპელაციო სასამართლოში უპირებენ დანიშვნას მუდმივ მოსამართლედ. ზაზა ხატიაშვილის ბოლო ეს არის ყველაზე დიდი უბედურება, საზოგადოებას ამ ადამიანთან პრეტენზიები აქვს გირგვლიანის საქმეზე, მოლაშვილის საქმეზე, სხვა საქმეებზე... მურუსიძე სკანდალურად ფიგურირებს არაერთ საქმეში, რომელიც იყო სააკაშვილის რეჟიმის საყრდენი. ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება გაურიგდა სამოქალაქო საზოგადოების მტრებს, ყველა ის პროკურორი და მოსამართლე დაგვასხა თავზე, რომლებთან ვიზიტის შემდეგ არაერთი მოქალაქე ბი, მე კატეგორიულად ვითხოვ ახალი ხელისუფლებისგან, ჩატარდეს საქართველოში ნიურნბერგის მსგავსი პროცესი. ერთი გამაგებინე, მე და შენ, ან სხვები რისთვის დავრბოდით მიტინგებზე, რისთვის ვისხედით ქუჩაში? იმიტომ, რომ ასეთი პროცესი იყო ჩასატარებელი, სადაც წარდგებოდნენ მოსამართლეები და პროკურორები. ამას მე გავაკეთებ, ჩემს მეტი რომ ყველა გაჩუმდა, იმიტომ მებრძვიან, მე კიდევ არ გავჩუმდები, რაც არ უნდა მეძახონ. ვერ

# ზაზა ხატიაშვილი თეა წულუკიანს, მანანა კობახიძეს და ეკა ბესელიას ამხელს!



## „ყველამ დამალა. ამათ მოვუწყობ შავ დღეს!“

განცხადება ასე გამოიყურება:

**„პატივცემულო საზოგადოებავ! მოსამართლეთა კონფერენციამ განცხადება გაავრცელა და დაგვტუქსა, როგორ ვბედავთ მურუსიძის კრიტიკას, ეს თურმე სასამართლოს იმიჯზე მოქმედებს. ვაი, ჩვენი ბრალი! ივანიშვილის ხელისუფლებამ მოგვატყუა, გაურიგდა მურუსიძეებს, გაურიგდა იმ ბინძურ პროკურორებს, რომლებიც გვატერორებდნენ. თანამემამულენო! ვინც ღირებულებების გამო ვებრძოდით სააკაშვილის რეჟიმს, არ უნდა დავუშვათ მურუსიძეების უვადოდ დანიშვნა მოსამართლის თანამდებობაზე. ეს საბოლოოდ დაასამარებს ჩვენს ოცნებას სამართლიან სასამართლოზე — შემომიერთდით!“**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, თეა ძიმისტარაშვილი კი ღიად აცხადებს, რომ, რასაც ზაზა ხატიაშვილი აკეთებს, ყოვლად დაუშვებელია:

**„არასამთავრობო ორგანიზაციათა კრიტიკა, რა თქმა უნდა, დასაშვებია. რაც გონივრული კრიტიკაა, ჩვენ ამ კრიტიკას მივიღებთ და ეს არის არასამთავრობო ორგანიზაციათა ვალდებულება, მაგრამ, როდესაც პროცესის უშუალო მონაწილე მხარე — „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე გამოდის, პირდაპირ მოწოდებებს აფიქსირებს და ზეწოლას ახდენს ისეთ ინსტიტუტებზე, როგორიც არის საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, ეს არის ყოვლად დაუშვებელი. ეს არის ზეწოლა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად, კანონით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება“.**

შეგახსენებთ, რომ არა მხოლოდ ძიმისტარაშვილმა, მოსამართლეთა კორპუსმა რიგით მე-15 კონფერენციაზე, 21 დეკემბერს ლევან მურუსიძეს მხარდაჭერა გამოუცხადა.

**„ალიას“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:**

– აი, ამით ჩვენ დავინახეთ, რა სასამართლო გვაქვს საქართველოში. ნახულობდა ძალიან კეთილ სიზმარს და სახელმწიფოს ჩუქნიდა საკუთარ ქონებას. თუ მურუსიძე წაიქცა, წაიქცევა ყველა ის მოსამართლე, რომელიც ასეთ სიბინძურეებში ხელებს აფათურებდა.

რაკი ზოგიერთი მოსამართლე ბრალს აქეთ მდებს, რაკი აქეთ დაიწყეს შემოტევები, მე ხვალ-ზეგ უკვე დავიწყებ მტკიცებულებების გამოქვეყნებას, რას აკეთებდა სასამართლო სისტემა სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში. ყველამ უნდა გაიგოს, რა შერჩათ ამათ. იცი, ყველაზე ძალიან რისი ეშინიათ? მურუსიძე რომ დაეცემა, ზაზა ხატიაშვილი მისდგება მაგათ, მთელ საზოგადოებას ეცოდინება, ვის ხელშია სასამართლო. თუ ვიღაცები მაგათ გაურიგდნენ, ხატიაშვილი არ გაურიგდება, სხვა ადამიანები არ გაურიგდებიან. ამათ ათასობით ადამიანი აქციეს პოლიტპატიმრად, ათასობით ადამიანი უკანონოდ გამოამწყვდიეს ციხეში. მურუსიძის წაქცევით დაინგრევა მითი, რომ ყველას ყველაფერი უნდა ეპატიოს. ამის შემდეგ ყველა წაიქცევა, მაგათ საკუთარი თავები გასჭირვებიათ. ყველა ის მოსამართლე იქნება მხილებული, ვისაც გაურიგდნენ. ხალხო კრიმინალებს ყველაფერი აპატიეს და დააწინაურეს კიდეც, ამაზე მარტო მე და ჟურნალისტები უნდა ვიღებდეთ ხმას? მე პირადად ბიძინა ივანიშვილი იმიტომ მიპირისპირდება, რომ ასეთების დასჯას ვითხოვ. ვისაც დღეს კუდი ეწვის, ძიმისტარაშვილის ჩათვლით, ყველა გამოვა და დაიცავს მურუსიძეს!

**— მოსამართლეთა კონფერენცია აცხადებს, რომ ქართული სასამართლო არის უმწიკვლო და შენ სახელს უტეხ, ანუ ლახავ მის რეპუტაციას.**

– ერთ-ორ დღეში გავმართავ პრესკონფერენციას და დავდებ ფაქტებს, როგორ გამოჰქონდათ უზენაეს და სააპელაციო სასამართლოებს გადაწყვეტილებები ერთ დღეში ერთსა და იმავე საქმეებზე. პირდაპირი მნიშვნელობით, აკულაკებდნენ ადამიანებს. რაკი არ ჩერდებიან, მე მათ დავუდებ სამხილებს. ეგენი არიან სავარაუდო კრიმინალეები ღირსებიან დამნაშავეები, რომ ყველაფერი შერჩეთ. ხარვეზების დამდგენი კომისია უნდა შევქმნაო, ამბობდა თეა წულუკიანი, რატომ არ შექმნა, ხომ უნდა გადასინჯულიყო ეს საქმეები?

**ბიძინა ივანიშვილი ერთი თვის მოსული იყო, როცა თქვა, პროკურატურას განცხადებებით მიმართეთო, სასამართლოები არ გადატვირთოთ, ერთმანეთს მოურიგდითო, 25 ათასი განცხადება შევიდა. მაშინ იუსტიციის სამინისტროში აცხადებდნენ, ვმუშაობთ, კომისია უნდა შევქმნათო, ძალიან მაგრად ვიმუშავეთო და ბოლოს პრემიებიც გამოიწერეს. ერთი თვის შემდეგ, როგორც კი საპრეზიდენტო არჩევნები ჩამთავრდა, ხალხს გამოუცხადეს, აღარ შეიქმნება, ფული არ გვაქვსო.**

წულუკიანს პირადად მე მივუტანე რამდენიმე განაჩენი, რომლებიც გაყალბებული იყო, ერთ-ერთ სხდომაზე გადავეცი მანანა კობახიძესაც, იქ იყო ეკა ბესელიაც, ამ სხდომას 30 კაცი ესწრებოდა. ყველამ დამალა. ამათ მოვუწყობ შავ დღეს!

**— ზაზა, ამჟამად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში რა ხდება, რა სიტუაციაა?**

– რა უნდა ხდებოდეს? ჩალიჩობენ. მე შემიძლია, ხალხი გამოვიყვანო ქუჩაში და გამოვიყვან კიდეც. მე არ ვამბობ, რომ ყველა უნდა წავიდეს ციხეში, მაგრამ ყველამ უნდა დატოვოს თანამდებობა. დაითვალონ, რამდენი ადამიანი ზის დღეს უკანონოდ ციხეში, რატომ უნდა ისხდნენ? მე არავისზე ზეწოლას არ ვახდენ, მურუსიძე დაინიშნება? ეგრევე ხალხი გამომყავს ქუჩაში. თუ ამ ადამიანს ხმა არ მისცეს გოცირიძემ, სოფრომაძემ და თოდრიამ, ვერ დაინიშნება. მისცემენ ხმას? გამოვდივარ ქუჩაში! „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ღირსება შემრჩა და ისევ იმ ჭკუაზე ვარ, რა ჭკუაზეც ვიყავი. ახლა მოილაპარაკეს, ზაზა ხატიაშვილს დაარტყითო, ეგენი რომ ჩემზე რამეს იტყვიან, უფრო პოპულარული გავხდები და უფრო მეტი ადამიანი მცემს პატივს. მე არ გავჩუმდები, უსამართლობას არ ვაზეიმებ!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აზერბაიჯანის ბანკებში ფულადი გადარიცხვები შეჩერდა



სავაჭრო ქსელებმა, აზერბაიჯანში, მანათის დევალვაციის შემდეგ იმპორტული საქონლის გადაფასება დაიწყო, ხოლო ბანკებმა ფულადი გზავნილები შეაჩერეს. ექსპერტები ფასების ვარდნასა და დოლარის კრედიტების მხრივ პრობლემების წარმოქმნის შესახებ საუბრობენ.

აზებაიჯანული მანათის ღირებულების დაცემამ, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც მცურავ კურსზე გადასვლას გულისხმობს, ქვეყანაში სავაჭრო ქსელების მიერ იმპორტული საქონლის გაყიდვების შეზღუდვა გამოიწვია. საინფორმაციო პორტალ haqqin.az-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბაქოში დაკეტილია შემდეგი ელექტრონული ქსელები: Ýrshad Telekom, Music Gallery და Baku Electronics. აღნიშნული ქსელების დაკეტვის მიზეზად საქონლის გადაფასება სახელდება.

მაღაზიებში შეჩერებულია იმპორტული პროდუქციის გაყიდვები, მათ შორის, რუსეთიდან და უკრაინიდან აზერბაიჯანში იმპორტირებული საქონლის გაყიდვებიც.

საინფორმაციო სააგენტო Trend.az-ი იუწყება, რომ აზერბაიჯანულმა ბანკებმა შეაჩერა ფულადი გზავნილები, ხოლო ბევრ გაცვლით ჯიხურში, ვალუტის გაცვლით ოპერაციებსაც ვერ ახორციელებენ. ექსპერტები აცხადებენ, რომ მანათის დევალვაციის შემდეგ, მსესხებლებს, დოლარში აღებულ კრედიტებთან დაკავშირებით დიდი პრობლემები შეექმნებათ.

– პრობლემები შეიქმნება დოლარში აღებული კრედიტების დაბრუნების მხრივ, – აცხადებს აზერბაიჯანის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების ცენტრის წარმომადგენელი. (ipress.ge)

## სლოვენიამ ერთსქესიანთა ქორწინებაზე უარი თქვა



„ბიბისის“ ინფორმაციით, სლოვენიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის საკითხიც ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინების დაშვება იყო. თუ მოსახლეობის უმრავლესობა ამ კითხვაზე დადებით პასუხს გასცემდა, სლოვენია პირველი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო იქნებოდა, რომელშიც გეი-კავშირები ოფიციალურად დაკანონდება. საზოგადოებას ახსოვს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2015 წლის მარტში სლოვენიის პარლამენტმა კანონში მიიღო შესწორება, რომლის თანახმადაც ქორწინებად ჩაითვლება „ორი ადამიანის კავშირი“ და არა „ქალსა და კაცს შორის კავშირი“, როგორც ეს ადრინდელი რედაქციით იყო. ამ ჩასწორებას ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო კამპანია მოჰყვა, რომელმაც მისი ფაქტობრივი რეალიზაცია ჩაშალა. ამ საპროტესტო ტალღის შემდეგ, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ საკითხი რეფერენდუმზე გაეტანა. აღსანიშნავია, რომ სლოვენიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კათოლიკეა, რომელიც ამ სახის ქორწინებებს არ აღიარებს. რეფერენდუმზე ამომრჩეველთა 63,4 პროცენტმა უარი თქვა ერთსქესიანთა ქორწინებისა და ერთსქესიანი წყვილების მიერ შვილად აყვანის უფლების დაკანონებაზე. ამრიგად, პარლამენტის მიერ მარტში მიღებული კანონი ძალაში შესვლამდე გაუქმდა. ანალოგიური რეფერენდუმი 2012 წელს გაიმართა და აღნიშნულმა საკითხმა უარყოფითი შედეგი მიიღო, თუმცა, მაშინ რეფერენდუმზე მოსახლეობის დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. (postalioni.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საპატრიარქოსთან ახალგაზრდა მამაკაცმა თვითდაზიანება მიიყენა



საპატრიარქოსთან ინციდენტს ჰქონდა ადგილი. ახალგაზრდა მამაკაცმა, პაატა ხუციშვილმა მარჯვენა ხელზე ჭრილობები მიიყენა და რამდენიმე ადგილი დაისერა.

დაშავებულს პირველადი დახმარება საპატრიარქოს დაცვის თანამშრომელმა აღმოუჩინა. როგორც პაატა ხუციშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ის პატრიარქთან შეხვედრას ცდილობდა, რაშიც დაცვამ ხელი შეუშალა. ხუციშვილი აცხადებს, რომ დაცვის თანამშრომლებმა იგი ტერიტორიიდან ხელის გადაგრეხით გაიყვანეს. მისივე თქმით, ორი კვირაა, ცდილობს პატრიარქთან შეხვედრას და თავის ოჯახურ პრობლემაზე საუბარს. თუმცა დაცვის თანამშრომლები მას ამაში ხელს უშლიან. ხუციშვილმა საუბრისას ასევე განაცხადა, რომ, თუ პატრიარქთან არ შეუშვებენ, საკუთარ თავს უფრო მეტ დაზიანებებს მიაყენებს. (ინტერპრესნიუსი)

## საია-ს თავმჯდომარე — ლევან მურუსიძე ვერ აკმაყოფილებს მაღალი კეთილსინდისიერებისა და მორალური რეპუტაციის მაჩვენებელს



– მოსამართლედ უნდა დაინიშნონ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ მაღალი კეთილსინდისიერებისა და მორალური რეპუტაციის მაჩვენებელი და მაღალი პროფესიონალიზმი. საბჭო თუ ამ სტანდარტებით იხელმძღვანელებს, ადამიანი, რომელმაც ხელი მოაწერა სანდრო გირგვლიანის საქმეს და სხვა საქმეების ოდიოზურ განაჩენებს, ვერ დააკმაყოფილებს და ვერ აკმაყოფილებს მორალურ და კეთილსინდისიერების მაჩვენებელს. ამას ემატება ისიც, რომ პროცესი წარიმართა სერიოზული დარღვევებით, არის ინტერესთა კონფლიქტი, კანდიდატი ამავე დროს არის გადაწყვეტილების მიმღები პირი. ეს არის გაუგონარი და მიუღებელი, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა. რაც შეეხება ირინა ენუქიძეს, ნაცვლიშვილის თქმით, ის ბრძოლა, რომელიც დაიწყო ირინა ენუქიძემ, არის უმნიშვნელოვანესი და ეს ბრძოლა უნდა გაგრძელდეს.

– ეს ბრძოლა უნდა მივიყვანოთ ბოლომდე. სანდრო გირგვლიანის საქმე იყო აღმაშფოთებელი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ეხებოდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას, არამედ იმიტომ, რომ ამით სახელმწიფომ ძალიან მიუღებელი და საზარელი სტანდარტი დაამკვიდრა ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის. თუ ჩვენ გვინდა, რომ, როგორც საზოგადოება და როგორც სახელმწიფო შევდგეთ, ყველა შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს გირგვლიანის საქმე და ყველგან უნდა დავაფიქსიროთ, რომ ჩვენთვის არ არის მისაღები სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის ეს უსამართლო ფორმა, რომელიც შემოგვთავაზა სახელმწიფომ სანდრო გირგვლიანის საქმეში. ეს საქმე ვერ იქნება დავიწყებული და ეს ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# ვალერი გელბახიანი: „როცა შენი მოქალაქეების უფლებებს ვერ იცავ, არ უნდა იტრაბახო, რადგან ეს ტრაბახი გამაღიზიანებელია მათთვის, ვინც იცის, რა ხდება“



## რა მოიტყუა პრემიერმა სამწლიანი საქმიანობის შეჯამებისას?



პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელისუფლებაში მოღვაწეობის სამი წელი შეაჯამა:

*„ჩვენი ფასეულობათა სისტემის ცენტრი არის ადამიანი, ვამკვიდრებთ თვისობრივად ახალ პრინციპებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ კულტურას, ადამიანის უფლებები, მისი კეთილდღეობა და თავისუფლება ჩვენი მთავარი პრინციპია. წინა ხელისუფლება ფეხქვეშ თელავდა ადამიანების ფუნდამენტურ უფლებას, ჩვენს მთავარ ამოცანად რჩება დემოკრატიის გაღრმავება, ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება...“*

ძნელია არ დაინახო, რომ დღეს გაცილებით თავისუფალ გარემოში გვიწევს ცხოვრება, არ გვეშინია, რომ ვინმე ქონებას წაგვართმევს და ოჯახს გაგვინადგურებს, სამაგიეროდ, გვეშინია ხვალინდელი დღის გათენების, როცა ადამიანებმა არ იციან, საკუთარი შვილები რით გამოკვებონ... კარგია ისიც, როცა კარს გვიღებს ევროპა, რუსეთი და, ალბათ, რამდენიმე წლის შემდეგ ფართოდ გაგვიღებს კარს ამერიკა, მაგრამ ცუდია, როცა 3 მილიონი ადამიანიდან ყოველი მესამე ქვეყნიდან გაქცევაზე ფიქრობს. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ყოველი წელი მოქალაქეებისთვის მძიმდება, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები უფრო და უფრო გადაულახავია და ხელისუფლების დაპირებები კარტით აშენებულ სახლს უფრო ჰგავს, რომელიც თავზე გვენგრევა.

პრემიერის გამოსვლაში იყო მთელი რიგი მესიჯები, რომელიც მხოლოდ პოზიტივზე იყო ორიენტირებული, რასაც მოჰყვა „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა, ბევრი მათგანი სამართლიანი, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ დამოუკიდებელი ექსპერტები პრემიერ-მინისტრის გამოსვლაზე? რას ხედავენ პრემიერ-მინისტრის მთავარ მიღწევად, როგორია მათი დანახული სამი წელი? სად ჰქონდა ხელისუფლებას ყველაზე დიდი ჩავარდნა და თუკი ამ ხელისუფლების ფუნდამენტური პრინციპია, რომ ორიენტირი გააკეთონ ადამიანებზე და მათი მთავარი ფასეულობა არის ადამიანი, მაშინ ქვეყანას რატომ ჰყავს ამდენი გაჭირვებული? რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო, შექმნას ამ ადამიანებისთვის ღირსეული გარემო, სადაც თითოეული მოქალაქე თავს იგრძნობს სოციალურად დაცულად და ფინანსურად ძლიერად?

**იურისტი ვალერი გელბახიანი ჩვენთან ერთად შეაფასებს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სამწლიანი საქმიანობის ანგარიშს:**

**— ბატონო ვალერი, ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიშიდან თქვენთვის რა იყო სიმართლე, რა — ტყუილი?**

– ირაკლი ღარიბაშვილმა ძალიან ბევრი პოზიტიური გზავნილი გააკეთა თავის გამოსვლაში. დღეს მთავრობა ხალხზე არ ძალადობს, ქუჩაში არ კლავენ, ადამიანებს სასამართლოში საკუთარი უსამართლობის დამტკიცება აღარ უჭირთ და ეს სასამართლო არ არის კონვეიერული, საიდანაც მხოლოდ უსამართლო განაჩენები გამოდიოდა, ის, რომ არ არის განუკითხაობა და ქონების უსამართლო ჩამორთმევა, პოლიტიკური ნიშნით ადამიანებს რომ არ კლავენ და არ აპატიმრებენ, არ ძალადობენ მათზე, ეს არის საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის შედეგი და ვეთანხმები ამ ნაწილში ღარიბაშვილს, თუმცა მათ ბევრი მიმართულებით არ უაქტიურიათ.

დადებითი შედეგია ის, რომ რუსეთმა შეარბილა ტონი საქართველოსთან მიმართებაში, ხელისუფლებას არანაირი ინიციატივა არ გამოუჩენია, რომ რუსეთის ბაზარზე შესულიყო ქართული პროდუქცია, ეს რუსეთის ხელისუფლების ნება იყო. არ შეიძლება ეს იყოს საქართველოს ხელისუფლების მიღწევად ჩათვლილი, რუსეთს საქართველო სჭირდება და ამიტომაც გააკეთეს ის, რაც გააკეთეს. საერთაშორისო ფაქტორებმა რუსეთი აიძულა, საქართველოსთან შეერბილებინა ხისტი დამოკიდებულება.

ის, რომ საქართველომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, ის, რომ ხელისუფლება დაეთანხმა ვიზალიბერალიზაციის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, ეს გახლავთ საქართველოს ხელისუფლების დამსახურება. ეს ყველაფერი არის საერთაშორისო კონკურენციის შედეგი, ვინაიდან საქართველო სტრატეგიულად არის ძალიან საინტერესო როგორც ამერიკისთვის, ასევე ევროპისთვის და რუსეთისთვის. რომ არ ყოფილიყო დაძაბულობა ქვეყნის გარეთ, ბუნებრივია, ეს შეღავათები ასე მყისიერად არ იქნებოდა შემოთავაზებული. აქედან გამომდინარე, რადგან შედეგი არსებობს, ეს უნდა შეფასდეს პოზიტიურად. თუმცაღა, შენს დამსახურებად მიიწერო, ცოტა არ იყოს, ხმამაღალი განცხადებაა. თუ ასეა, მაშინ, რატომ ნატოში არ მიგვიღეს მყისიერად, როგორც ეს ვიზალიბერალიზაციის შემთხვევაში მოხდა? ჩვენ არ გვიღებენ ნატოში იმიტომ, რომ დიდი რისკის მატარებელი ვართ, რადგან ისინი ანგარიშს უწევენ რუსეთის ფაქტორს.

**— პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მათ უარი თქვეს სატელევიზიო მითებზე დაფუძნებულ ხელისუფლებაზე, რომ არ აპირებს, ქართველი საზოგადოება აცხოვროს ილუზიებით, თუმცა სამი წლის განმავლობაში ხელისუფლებას სწორედაც რომ პიარში ჰქონდა ჩავარდნა და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დღესაც არ იცის, რა კეთდება ამა თუ იმ სფეროში. რატომ ვერ მოძებნა ოქროს შუალედი „ოცნების“ მთავრობამ?**

– მე ვფიქრობ, ეს არის უპასუხისმგებლობა, როცა ხელისუფლება ახორციელებს სამთავრობო პროექტებს, სახელმწიფო იდეოლოგიას, კონცეფციას არ აშუქებდეს ის ტელევიზია, რომელსაც ხალხი უხდის ფულს. კეთილი უნდა ინებოს სახელმწიფო იდეოლოგიურმა მანქანამ, „საზოგადოებრივმა არხმა“ და მისმა ხელმძღვანელობამ გაატაროს ის იდეოლოგია, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს. ამიტომ ეს სატრაბახო კი არ გახლავთ, პირიქით, მიმაჩნია, რომ ეს არის უპასუხისმგებლობა, მაშინ, ნუ ვუხდით ფულს ამ ტელევიზიას, გადაკეთდეს ჩვეულებრივ კომერციულ ტელევიზიად და იყოს კონკურენტულ გარემოში, როგორც სხვა ტელევიზიები. რასაც უნდა, იმ გადაცემას გააკეთებს და პასუხსაც არავინ მოსთხოვს, მაგრამ აქ ცენზურაზე კი არ არის საუბარი, საუბარია იმაზე, სახელმწიფო თავისი იდეოლოგიური არხების საშუალებით არ ახორციელებს იმ საქმიანობას, რაც ევალება და ეს ფული კაცმა არ იცის, სად მიდის. ამიტომ, ჩემთვის პრემიერის არგუმენტი, რომ ტელევიზიები თავისუფალია ხელისუფლების კონტროლისგან, სატრაბახო ნამდვილად არ არის. გაიხსენეთ, ყოფილი პრემიერი როგორ აკრიტიკებდა ჟურნალისტებს და არც ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ჩამორჩება ამ მხრივ. გორის გუბერნატორთან დაკავშირებით როცა პრემიერს კითხვა დაუსვეს, მან ჟურნალისტს უპასუხა, რომ ჩვენ ამ საქმეს გავარკვევთ და თქვენ მოგიწევთ, დაამტკიცოთ თქვენი სიმართლეო. ეს არ არის პრემიერის გასარკვევი, მცდელობა იყო ჟურნალისტების საქმიანობაში ჩარევის, მაგრამ მათ დახვდათ წინააღმდეგობა როგორც გუნდის შიგნით, ასევე დასავლეთში და უთხრეს, რომ ჟურნალისტებთან ასე ლაპარაკი კარგს არაფერს მოუტანს, ჭკუის სწავლება ჟურნალისტებთან დამოკიდებულების კარგი ტონი არ არის. ახლა რომ აცხადებენ, მედია თავისუფალიაო, ხომ ჰქონდათ მცდელობები ჩარევის?!. ან არ უნდა დაიწყო და თუ დაიწყებ, ბოლომდე უნდა მიიყვანო. ეს იყო სამარცხვინო უკან დახევა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით.

**— არის თუ არა ეს ხელისუფლება ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული, როგორც ამას პრემიერი აცხადებს...**

**— მოდით, ეს საკითხიც განვიხილოთ... პარლამენტში საკმაოდ ბევრი უფლებადამცველია — ვიცე-სპიკერი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და ა.შ. მაგრამ დამისახელონ ერთი კანონი, რომელიც გაუმჯობესდა და გაფართოვდა ადამიანის უფლებების დაცვის ნაწილში და შეიზღუდა სახელმწიფოს უფლებები. ერთი დამისახელონ, ასეთი კანონი და ხმას არ ამოვიღებ. როცა გაქვს პრეტენზია და ამბობ, რომ განმტკიცდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, მაშინ გვაჩვენე კანონები. როცა შენ ადმინისტრაციულ ჯარიმებს ზრდი, ეს რა არის, თუ არა ადმინისტრაციული ზემოქმედება ადამიანის უფლებებზე. როცა ადამიანს ხელფასი აქვს 500 ლარი და უწესებ 5000-ლარიან ჯარიმას, სად არის აქ შესაბამისობა, საიდან მოგიტანოს იმ ადამიანმა 5000 ლარი, ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა და გამტკიცება?!. შესაბამისობაშია ყველაფერი მოსაყვანი. ამათ რომ დატოვეს სააკაშვილის კანონები და ხელი არ უხლიათ არაფერზე, პირიქით, გაზარდეს სანქციები, ეს სატრაბახოა?!. მძღოლი, რომელიც სიგარეტს გადააგდებს, 120 ლარით ჯარიმდება. არადა, ვთქვათ, ის ადამიანი ტაქსის მძღოლია და მუშაობს დღეში 10 ლარზე. როგორ გადაიხდის ამ ჯარიმას?.. მაშინ, საერთოდ აკრძალე სიგარეტის მოწევა და ამ ხალხს საერთოდ აუკრძალე სიცოცხლე, ეს რა უბედურებაა! ბოლოს და ბოლოს, დაადე ჯარიმა სიგარეტის ქუჩაში გადაგდებაზე 5 ლარი, ხომ შეიძლება, რომ ჯარიმის ოდენობა მოიყვანო შესაბამისობაში. როცა ამხელა ჯარიმას გვიწესებენ, ეს ნიშნავს, რომ ოჯახს ულუკმაპუროდ ტოვებ, ანუ სახელმწიფო ჩვენი ხალხის ყვლეფას ეწევა. შესაბამისად, როცა ამბობ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ვიცავო, მოძებნე შესაბამისი ბალანსი. იმას კი არ გეუბნები ჯარიმები გააუქმო, მაგრამ ეს უნდა იყოს შემოსავალთან პროპორციული.**

**იგივე შრომითი კანონი რატომ არ შეცვალეს. იქ მხოლოდ ერთი მუხლის ცვლილებით შემოიფარგლნენ. როცა შრომითი უფლებები ირღვევა, ადამიანებს არა აქვთ გარანტია, რომ ისინი იქნებიან დაცულები, ექნებათ სტაბილური ხელფასი, როცა დამფუძნებელს მოუნდება, წიხლით არ გააგდებს, როცა მოდის ახალი მინისტრი და შენობიდან აპანღურებს თანამშრომლებს, ვინც თვალში არ მოუვა, ეს არის ადამიანების უფლებათა დაცვა?!. მე აღარ ვლაპარაკობ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებზე, ელემენტარულზე გეუბნები, რომ ადამიანის უფლებები დაცული ამ ქვეყანაში არსად არ არის. დადგება დრო და ჩამოვუთვლი ამათ, რა დარღვევები აქვთ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში. ადამიანის დაცვის უფლებების ფუნდამენტი არის შრომა, შენ რომ შემოსავალს მალავი ჯიბიდან, ამაზე დიდი დარღვევა რაღა გინდა. გადახედონ საერთაშორისო კონვენციებს და ჩაიხედონ საკუთარ კანონებში, რა პირობებია საქართველოში. მე ვეკითხები ამ ხელისუფლებას, რატომ გარბის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სამუშაოდ საზღვარგარეთ, ამაზე რატომ არ სვამენ კითხვას?!. იმიტომ, რომ აქ მინიმალური ხელფასი არ არის განსაზღვრული. სამყაროს ყველა კუთხეში კერძო სტრუქტურაში დასაქმებულ ადამიანს გაცილებით მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე სახელმწიფო უწყებაში და აქ, ჩვენს ქვეყანაში, ყველაფერი თავდაყირაა. საქართველოში სახელმწიფო სამსახურში ასჯერ მეტია ხელფასი, ვიდრე კერძო სამსახურში. რატომ, ეს არის პროპორცია და ბალანსი?!. ამიტომ, როცა შრომითი მიგრანტები გარბიან დასაქმების მიზნით, შენ რომ ხარ მთავრობა, ხომ უნდა იკითხო,**

**რატომ გარბის ეს ხალხი?..**

ახლა ამ ვიზალიბერალიზაციაზე რომაა ერთი ჟივილხივილი ატეხილი, გვიპასუხონ, როგორ იქნება შრომითი მიგრანტების უფლებები დაცული?!. კონსტიტუციის 30-ე მუხლში წერია, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას შრომითი მიგრანტების უფლებები საზღვარგარეთ. ახლა მითხრას საქართველოს მთავრობამ, რომელ ქვეყანაში იცავენ საქართველოს მოქალაქეების შრომით უფლებებს?.. ეს არის სატრაბახო?!. ვიზალიბერალიზაცია რომ გამოაცხადეს, ისიც უნდა ეთქვათ, რომ სახელმწიფო შრომით მიგრანტებს ლეგალიზაციას გაუკეთებს. როგორ? ამასაც გეტყვით, იმ ქვეყნებთან უნდა დაედოთ შრომით ლეგალიზაციაზე შეთანხმებები, არალეგალურად რომ არიან უცხოეთში ჩვენი მოქალაქეები და იმალებიან, დეპორტი რომ არ გაუკეთონ, ეს არის მათი უფლებების დაცვა და ეს არის სახელმწიფოსგან თანადგომა?!. ჩვენ ვიზალიბერალიზაციის პროცესისთვის მზად არ ვართ, ამ საკითხში სახელმწიფოს ხედვა და კონცეფცია არ გააჩნია, ხელისუფლება ეუბნება საკუთარ მოქალაქეებს, ოღონდ ამ ქვეყნიდან წადით და მოგვცილდით, ფართოდ გაგიღებთ კარსო. რატომ უნდა ექცეოდეს ასე უსამართლოდ მთავრობა თავის მოქალაქეებს? ამიტომ, როცა ამ პროცესებისთვის არ ხარ მზად და შენი მოქალაქეების უფლებებს ვერ იცავ, არ უნდა იტრაბახო, რადგან ეს ტრაბახი გამაღიზიანებელია მათთვის, ვინც იცის, რა ხდება.

**— ჩვენი ინფორმაციით, საარჩევნო კანონთან დაკავშირებით დიდი სკანდალია კულუარებში. უფრო კონკრეტულად ხომ არ იცით, რა ხდება?**

**— ამ საარჩევნო კოდექსის მიხედვით ვერც ერთი ძველი მაჟორიტარი ვერ გახდება თავისი რაიონის დეპუტატი. ძალიან დიდი პანიკაა ამის გამო შიგნით, მაგრამ ცდილობენ, დააწყნარონ ძველი მაჟორიტარები და გარანტიებს იძლევიან. სააკაშვილსაც ეგონა, რომ არჩევნებს ვერავინ მოუგებდა, მაგრამ კი ვნახეთ, მისი პოლიტიკური კარიერა საქართველოში როგორც დასრულდა. ამიტომ, ნუ იქნება ივანიშვილი მშვიდად, რომ ის არჩევნებს მაინც მოიგებს და უმრავლესობით მოვა.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## წმინდა სინოდის სხდომაზე მართლმადიდებელმა ეკლესიამ რამდენიმე პირი წმინდანად შერაცხა



წილკნის მიტროპოლიტ ზოსიმეს ინფორმაციით, წმინდა სინოდის სხდომაზე მართლმადიდებელმა ეკლესიამ რამდენიმე პირი წმინდანად შერაცხა, ასევე, მოხდა განათლების საკითხების განხილვა.

– წმინდა სიდონია, რომელმაც უფლის კვართი გულში ჩაიკრა და სვეტიცხოველში განისვენებს, დედამისი – სინოდის სხდომამ წმინდანებად შერაცხა, ილია მართლის ხსენება ორჯერ განაწესა. ასევე, კიდევ ერთი ახალი წმინდანი შერაცხეს, – განაცხადა წილკნის მიტროპოლიტმა ზოსიმემ.

მიტროპოლიტ ზოსიმეს თქმით, წმინდა სინოდის სხდომაზე განიხილეს განათლებასთან დაკავშირებული საკითხებიც, კერძოდ, მეუფე სპირიდონის ყოფილ ეპარქიაში. მეუფეს განცხადებით, გადაიხედება ეს საკითხები და მოხდება თანხების გადანაწილება. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## თუ ბანკის „შავ სიაში" მოხვდით – რჩევები მომხმარებლებს



ვადაგადაცილებული სესხები, გაფუჭებული საკრედიტო ისტორია და ე.წ. „შავი სია", – დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ბანკიდან თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან თუნდაც ერთხელ მაინც არ აუღია სესხი.

რა ახდენს გავლენას თქვენს საბანკო ისტორიაზე და რამდენ ხანში ხდება ნეგატიური ჩანაწერის პოზიტიურით შეცვლა? – რჩევებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები" გაძლევთ:





საკრედიტო ისტორია აქვს ყველა იმ ადამიანს, ვისაც სესხი აუღია ბანკიდან თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან. საკრედიტო ისტორიის ამონაწერში დეტალურად არის მოცემული ყველა ის საკრედიტო პროდუქტი და ორგანიზაცია, რომლითაც მომხმარებლებს უსარგებლიათ. ასევე, მითითებულია თითოეული სესხის ვალუტა და დაფარვის გრაფიკი.

არსებობს 2 სახის ჩანაწერი – პოზიტიური და ნეგატიური. ის მომხმარებელი, რომელსაც თავისი საკრედიტო ისტორიის მანძილზე არ ჰქონია ვადაგადაცილება, ხვდება პოზიტიურ ჩანაწერში. სხვა შემთხვევაში მისი მონაცემები ნეგატიურ ჩანაწერში გადადის.

თავის მხრივ, ნეგატიური ჩანაწერი 2 სახისაა.

თუ მომხმარებელმა სრულად დაფარა ვადაგადაცილებული სესხი, მისი საკრედიტო ისტორიის ჩანაწერს მიენიჭება სტატუსი – „იყო ნეგატიური".

თუ ვადაგადაცილებული სესხი არ არის დაფარული და მომხმარებელს მიმდინარე დავალიანება უფიქსირდება, მას ენიჭება „არის ნეგატიურის" სტატუსი.

როგორ შეიძლება საკრედიტო ისტორიის ნეგატიური სტატუსის პოზიტიურით ჩანაცვლება? მომხმარებლებს ხშირად უჩნდებათ კითხვა, როგორ შეიძლება წაიშალოს მათი მონაცემები ე.წ. „შავი სიიდან", რომელიც არასწორი ტერმინია და იგულისხმება ნეგატიური ჩანაწერი.

ვადაგადაცილებული სესხის დაფარვიდან 5 წლის შემდეგ საკრედიტო ისტორიის ჩანაწერში კრედიტის შესახებ ინფორმაცია იშლება. რაც შეეხება იმ სესხების ჩანაწერს, რომელიც მომხმარებელმა გრაფიკის მიხედვით დაფარა, იშლება დაფარვიდან 7 წლის შემდეგ.

საკრედიტო ისტორიის შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია ორგანიზაცია „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში. მომხმარებლებს საშუალება აქვთ, პირადობის მოწმობის საფუძველზე საკრედიტო ისტორიას წელიწადში ერთხელ უფასოდ გაეცნონ. ხოლო თუ მომხმარებელს სურვილი აქვს, მუდმივი წვდომა ჰქონდეს ამ ინფორმაციაზე, მაშინ ეს მომსახურება ფასიანია.

დღეს ბაზაში რეგისტრირებულია დაახლოებით 2 მლნ ფიზიკური და 56 ათასი იურიდიული პირი. (ინფოტვ.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საბერძნეთში ქართველი „კანონიერი ქურდები" დააკავეს



საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, მასშტაბური სპეცოპერაციის შედეგად, ქართველი „კანონიერი ქურდი", 61 წლის დავით სებისკვერაძე, მეტსახელად „დათო ქუტაისკი" დააკავეს. გამოცემა „პრაიმ-კრაიმის" ინფორმაციით, სებისკვერაძე საბერძნეთში ქართულ „ქურდულ დიასპორას" ედგა სათავეში.

„დათო ქუტაისკისთან" ერთად, დაკავებულები არიან ასევე: 30 წლის ლაშა უგრელიძე, მეტსახელად „სტალინი", ასევე, 29 წლის შოთა ასათიანი, მეტსახელად „შოთიკო ბოლნისკი", კიდევ ერთმა დაკავებულმა, მიხეილ ხუციაშვილმა თავი „კანონიერ ქურდად" წარმოადგინა.

საბერძნეთის პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულებმა, ძირითადად, ათენის პრესტიჟულ რაიონებში ასზე მეტი ბინა გაძარცვეს.

„პრაიმ-კრაიმის" წერს, რომ საბერძნეთში ბოლო დროის განმავლობაში სამი ცნობილი ქართველი კრიმინალური ავტორიტეტია დაკავებული – დათო მირზიაშვილი, ზვიად პაპიაშვილი და ნოდარ შუკაკიძე. (კვირა.გე)

# ელექტრონული ხელმოწერის სერვისის დანერგვით „ბილაინი" მომხმარებელს კიდევ უფრო მეტ კომფორტს სთავაზობს

## კომპანია სიახლეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად ნერგავს

დაზოგეთ უფრო მეტი დრო და იგრძენით თავი კიდევ უფრო მეტად კომფორტულად – რამდენიმე სიტყვით ზუსტად ასე შეგვიძლია შევაფასოთ „ბილაინის" მორიგი სიახლე, რომელიც კომპანიამ საკუთარ მომხმარებლებს შესთავაზა.



21 დეკემბერს „ბილაინის" ახალი კონცეფციის გაყიდვების ოფისში, შპს „მობიტელსა" და სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (სსგს) თავმჯდომარე შიო ხეცურიანმა და „ბილაინის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი ტყეშელაშვილმა.

„ბილაინი" აბონენტებს კიდევ ერთ, ახალი კონცეფციის გაყიდვების ოფისს სთავაზობს – ციფრული თანამედროვე ტექნოლოგიების სადემონსტრაციო სივრცეს, სადაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დახმარებით მომხმარებელს ინოვაციურ მომსახურებას შესთავაზებენ, რაც საშუალებას იძლევა, რომ „ბილაინის" მომხმარებლებმა სერვისები კიდევ უფრო სწრაფად და მარტივად მიიღონ.

როგორც „ბილაინის" გენერალური დირექტორი გიორგი ტყეშელაშვილი განმარტავს, „აიდი" ბარათის მფლობელ მოქალაქეებს „ბილაინთან" ხელშეკრულების ელექტრონული ხელმოწერით გაფორმება უკვე დღეიდან შეუძლია. მისივე თქმით, ეს არის სახელმწიფოსთან ერთად განხორციელებული ერთობლივი პროექტი, რომელიც მომხმარებელს ერთი, რომ დროს დაუზოგავს და მეორე – კომპანიასთან ურთიერთობა კიდევ უფრო კომფორტული ხდება.

კომპანია „მობიტელს" სააგენტოს მიერ მიწოდებული სერვისებით საშუალება აქვს მომხმარებლებთან ურთიერთობის პროცესში შექმნილ დოკუმენტებზე ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენოს და დაადასტუროს ხელმოწერის შესრულების თარიღი.



**გიორგი ტყეშელაშვილი, „ბილაინის" გენერალური დირექტორი:**

– მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ „ბილაინმა" დაიწყო ახალი ინოვაციური სერვისის შეთავაზება. უკვე დღეიდან ელექტრონული „აიდი" ბარათის მფლობელი მოქალაქეები შეძლებენ მარტივად, თავიანთი ხელშეკრულების ელექტრონულად ფორმირებას და ელექტრონული ხელმოწერის შესრულებას. ეს არის ერთობლივი პროექტი სახელმწიფოსთან ერთად, რომელიც ძალიან ამცირებს მომსახურების დროს და ჩვენთან ურთიერთობას უფრო კომფორტულს ხდის.

იმისთვის, რომ ელექტრონული ხელმოწერით სარგებლობა უფრო ეფექტური იყოს, კომპანიაში საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებია დანერგილი, რაც მომხმარებელთა მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს და შესაძლებელს ხდის სხვა დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებას. მომხმარებლებს კი შეუძლიათ დაზოგონ დრო და მშვიდად და უსაფრთხოდ გააგრძელონ კომპანიასთან ურთიერთობა.

**შიო ხეცურიანი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე**

– სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო კერძო სექტორთან ერთად განაგრძობს თანამედროვე სერვისების დანერგვას. სერვისების განვითარების სააგენტომ შიფრაციის სერტიფიკატისა და დროის აღნიშვნის შეთავაზება უკვე დაიწყო კერძო სექტორის იმ წარმომადგენლებისთვის, ვინც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და მომხმარებლებისთვის კომფორტის შექმნაზეა ორიენტირებული. ამიერიდან კომპანია „ბილაინი" ელექტრონული ხელმოწერის ხელშეწყობის სერვისებით ისარგებლებს. აღნიშნული მომსახურება მოსახლეობას ხელს შეუწყობს უფრო მარტივად და მოკლე დროში მიიღონ სერვისი, რაც ძალიან მოსახერხებელია.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შემცველი დოკუმენტი საშუალებას იძლევა ფიზიკური პირის ელექტრონულ ხელმოწერას ექსპერტიზა ჩაუტარდეს და ხელმომწერი პირის იდენტიფიცირება მოხდეს.

ინოვაციური სერვისის დამსახურებით ხელშეკრულების გაფორმებას 1 წუთზე მეტი არ დასჭირდება.

**დარინა ქამადაძე**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შობის დღესასწაულის აღნიშვნას... 5-წლიანი პატიმრობა მოჰყვება



ბრუნეის სულთანმა ჰასსანალ ბოლკიამ საკუთარი მოქალაქეები გააფრთხილა, რომ მათ, ვისაც შობის დღესასწაულის აღნიშვნა მოუნდებათ, 5-წლიანი პატიმრობა დაემუქრებათ.

კონსერვატიული მუსლიმანური ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პატიმრობა შეეხება ისლამის მიმდევარ ყველა მოქალაქეს, რომელსაც მოუნდება საშობაო მისალოცი ბარათების გაგზავნა ან გადაწყვეტს, რომ სანტა-კლაუსის ფორმა ჩაიცვას.

ამასთანავე, სხვა რელიგიის წარმომადგენლებზე აღნიშნული აკრძალვა არ მოქმედებს, მაგრამ მათ დღესასწაულის აღნიშვნა მხოლოდ საკუთარ რელიგიურ წარმომადგენლებთან ერთად შეეძლებათ.

რელიგიის საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ შობის ღია აღნიშვნამ შესაძლოა, მუსლიმანთა რწმენაზე უარყოფითად იმოქმედოს და მათი რწმენა დააზარალოს.

დეკემბრის დასაწყისში მსგავსი ინიციატივით ადგილობრივი იმამებიც გამოვიდნენ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისეთი ქმედებები, როგორიცაა ნაძვის ხის მორთვა და საშობაო სიმღერების მღერა, მუსლიმანური რელიგიის წინააღმდეგ არის მიმართული, ამიტომ, როგორც ისლამი ქადაგებს, საჭიროა, ამას სერიოზულად მიუდგნენ. (daijesti.pia.ge)

## „ეს პოლიტიკოსები პატიმრების გაშვების საკითხით ვაჭრობდნენ და იღებდნენ ფულს“ — ელისაშვილი ბესელია-კობახიძეზე



– მე ბესელიასთან სადებატო არაფერი მაქვს, ეკა ბესელიას შევხდები საგამოძიებო სივრცეში. მე ვამბობ, რომ ეს პოლიტიკოსები ადამიანის ბედით ვაჭრობდნენ, – ეს განცხადება შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა გააკეთა. ელისაშვილი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც ბესელიამ თქვა, რომ ელისაშვილს პირდაპირ დებატებში იწვევს და მას „ფლიდი“ უწოდა. ელისაშვილმა საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა კიდევ ერთხელ მოითხოვა და განაცხადა, რომ ის საკუთარ ბრალდებებს სწორედ ამ კომისიასთან დაამტკიცებს.

– მე ბესელიასა და კობახიძეს შევხვდები საგამოძიებო სივრცეში. სადებატო არ მაქვს არაფერი, ეს პოლიტიკური საკითხი არ არის. აქ არის საუბარი დანაშაულზე, ძალიან მძიმე დანაშაულზე. რეპლიკებსა და კომენტარებს კი არ ვაკეთებ, მე ვამბობ, რომ ეს პოლიტიკოსები ადამიანის ბედით ვაჭრობდნენ, პატიმრების გაშვების საკითხით ვაჭრობდნენ და იღებდნენ ფულს. პროკურატურა სიმართლის დადგენის სივრცე არ აღმოჩნდა და ეს სივრცე უნდა შეიქმნას პარლამენტში. თვალების ფერზე და ასეთ თემებზე მე არ ვლაპარაკობ. ბესელია ლანძღვა-თათხვას მოეშვას. ელისაშვილი ვარ, სავანის უბნიდან წარმოშობით. გამოთქმები შეარჩიოს, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა „არჩევანის“ ეთერში. (პირველი რადიო)

# ვინ უნდა გააკონტროლოს „საიდუმლო შესყიდვები“?

## 7-მა უწყებამ 747,5 მილიონი დახარჯა, დანარჩენები მალავენ...

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კვლევის – „საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვები წესის გარეშე“ შედეგები წარადგინა. კვლევის მიხედვით, „2010-2015 წლებში საქართველოში არსებული 7 ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (მთავრობის ადმინისტრაცია, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო, ეროვნული უშიშროების საბჭო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო), საერთო ჯამში, 747 407 518 ლარის ღირებულების 2752 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა...

„ალიას“ პროექტის ერთ-ერთი ავტორი, სულხან სალაძე ესაუბრა:

**— სულხან, რატომ დაინტერესდით ამ საიდუმლო შესყიდვებით?**

– გვაინტერესებდა, როგორ მუშაობდა სახელმწიფო ამ ნაწილში, რა გამოწვევები ჰქონდა, რაში ხარჯავდა თანხას უმთავრესად და კიდევ იყო „კაბელების საქმე“. ამ ფაქტის შემდეგ გაცხადდა, რომ იმ ორგანოს უნდა ჰქონდეს საიდუმლო შესყიდვის უფლება.

**ჩვენ არ ვიცით, სახელმწიფო ორგანოების მიერ კონკრეტული შესყიდვების ვადების, შესასყიდი თანხებისა და სხვა პირობების შესახებ. ამ ყველაფრის შემდეგ გადავწყვიტეთ, ეს კვლევა ჩაგვეტარებინა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რაში იხარჯება საბიუჯეტო თანხები, მაგრამ სახელმწიფოს არ გააჩნია სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვების მარეგულირებელი დოკუმენტი და ვიდრე ამგვარი კანონი არ იარსებებს, მანამდე ასეთი განუკითხაობა იქნება სახელმწიფო სტრუქტურებში. ეს კანონი განსაზღვრავს, როგორ უნდა მოხდეს ასეთი შესყიდვების დროს კომპანიების შერჩევა, როგორ უნდა გამოირიცხოს კორუფციისა და ნეპოტიზმის ფაქტები, ასევე, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა.**

**— ახლა რომელიმე რაიონის გამგებელს აქვს უფლება, განახორციელოს საიდუმლო შესყიდვა? დავუშვათ, იყიდოს ავტომობილი და ცოლ-შვილი ასეირნოს. პასუხსაც ვერ მოსთხოვ, ალბათ, რადგან საიდუმლო შესყიდვით აქვს ნაყიდი და ანგარიში შეიძლება არც არავის ჩააბაროს.**

– ანგარიში ბევრმა ორგანომ არ ჩაგვაბარა, ეს ფაქტია, მხოლოდ შვიდმა მათგანმა მოგვაწოდა ინფორმაცია. ისე, რაც თქვენ თქვით, არც ეგ არის გამორიცხული. ბოლო 5 წლის მანძილზე არაერთი კონტრაქტი ვნახეთ, რომელიც სხვადასხვა სახის შესყიდვებს ეხებოდა, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოებს და სხვა ათასგვარ შესყიდვას.

**— კონკრეტულად ხომ ვერ მეტყვით რამდენიმე ფაქტს ამგვარი საიდუმლო შესყიდვებისას?**

კომპანია 2010 წელს უნდა იყოს რეგისტრირებული პანამაში. ამ კომპანიას „თ-72“ ტიპის ტანკები და სხვა სახის იარაღი უნდა მოეწოდებინა თავდაცვის სამინისტროსთვის. პრინციპში, კონტრაქტის მიხედვით, მოაწოდა. ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულებისთვის, საიდუმლო ფორმატში გაფორმდა კონტრაქტი სახელმწიფო კანცელარიასა და ერთ-ერთ კომპანიასთან. როცა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე ფორმდება გასაიდუმლოებული კონტრაქტი, ცხადია, ჩნდება ეჭვი კორუფციისა და სხვათა შესახებ. არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ეს არის გონივრული ეჭვი. ამ შემთხვევაში საიდუმლო შესყიდვის წესით არ გაფორმებულა კონტრაქტი, მაგრამ ამ კონტრაქტს გრიფი „საიდუმლო“ ადევს და რა დიდი განსხვავება? შსს-ს სამინისტროს კონკრეტ-






გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების ის ნაწილი, რომელიც ამავე პერიოდში გასაიდუმლოვდა, მოწმობს, რომ წლების განმავლობაში, რეგულაციების არარსებობის პირობებში, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის სტატუსი პრაქტიკულად ყველა სახის შესყიდვაზე ვრცელდებოდა. ხოლო გასაიდუმლოებული ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ნაწილი სერიოზულ კითხვებს ტოვებს კონკრეტული სახელმწიფო შესყიდვების, საიდუმლოდ შესყიდვის მიზანშეწონილობისა და შემსრულებელი კომპანიების შერჩევის კუთხით“.

**რა შესყიდვებს მიიჩნევს ორგანიზაცია საეჭვოდ?**

**— კანონით განსაზღვრულია, რომელ და რამდენ სახელმწიფო ორგანოს აქვს საიდუმლო შესყიდვების განხორციელების უფლება?**

– არა, საქმეც ეს არის, რომ, როცა მთავრობამ უნდა განსაზღვროს მარეგულირებელი დოკუმენტი, ის უნდა შეიცავდეს ნუსხათა შესყიდვის წესს და ვისაც შეხება აქვს სახელმწიფო საიდუმლოებასთან, მხოლოდ

– ჩვენ მოვიპოვეთ თავდაცვის სამინისტროს ხელშეკრულება, რომელიც გასაიდუმლოებულია. 46 მილიონი ევროს ღირებულებისაა ეს ხელშეკრულება. თავდაცვის სამინისტრომ ამ კონტრაქტით შეიძინა იარაღი. შუამავალი კომპანიაა შპს „ლეგიონი“, ამ კომპანიის ფუნქცია ბოლომდე გაურკვეველია, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ორი მხარის შეთანხმების შემთხვევაში მის ანგარიშზე გარკვეული რაოდენობის თანხა უნდა ჩარიცხულიყო. არც ის არის გარკვეული, რატომ შეირჩა „ლეგიონი“ და არა სხვა კომპანია. იარაღის მომწოდებელი კომპანია იყო „ტრანსმობილე ლსდ კორპორეიშენი“, ამგვარი კომპანია არ იძებნება ინტერნეტში, სავარაუდოდ, ეს

ულ ობიექტებზე იყო სარემონტო სამუშაოები საიდუმლო კონტრაქტებით, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ მთავრობის ადმინისტრაციის მომსახურებაზე.

**ჩვენ დამოკიდებულნი ვართ კონკრეტული ჩინოვნიკების კეთილსინდისიერებაზე, რომ ისინი ამ საიდუმლო შესყიდვებს ისე განახორციელებენ, რომ სახელმწიფოს, ბიუჯეტს არაფერს ავნებენ. ეს კი, მოგეხსენებათ, ვერაფერი გარანტიაა. მარეგულირებელი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, ჩინოვნიკებს რჩებათ საშუალება, თუნდაც, სუბიექტურად შეარჩიონ კონკრეტული კომპანია და ცხადია, ასეთ შემთხვევაში, კორუფციის ან ნეპოტიზმის შესახებ ჩნდება ეჭვები.**

# ჰიპერმარკეტი „გორგია“ ამერიკის სავაჭრო პალატის საპატიო წევრი გახდა

ამერიკის სავაჭრო პალატამ თავისი წევრი 200-მდე კომპანია წლის შესაჯამებლად და 2016 წლის გეგმებზე სასაუბროდ მრგვალ მაგიდასთან მიიწვია. აღნიშნულ შეხვედრაში ჰიპერმარკეტი „გორგიაც“ მონაწილეობდა.

„გორგია“ ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი 2015 წლის ოქტომბერში გახდა და გუშინდელ შეხვედრაზე საპატიო წევრის წოდება მოიპოვა. აღნიშნულ შეხვედრაში „AmCHam“-ის ვიცე-პრეზიდენტმა Michale Cowgill-მა „გორგია“ სხვა წევრ კომპანიებთან წარადგინა.

– „გორგია“ საკმაოდ გამოცდილი, სიახლეებზე ორიენტირებული კომპანიაა. ჩვენ მზად ვართ, საკუთარი გამოცდილება სხვა ორგანიზაციებსაც გავუზიაროთ. მოხარულები ვართ, რომ ამერიკის სავაჭრო პალატის საპატიო წევრი გავხდით, – აცხადებენ „გორგიაში“.




ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში ოფიციალურად 1998 წელს დაარსდა. ამ ეტაპზე პალატა საქართველოდან 200-მდე წარმატებულ კომპანიას აერთიანებს. მისი მიზანი საქართველოს, აშშ-სა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის კომერციული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობაა. სავაჭრო პალატა მხარს უჭერს და წარმოადგენს მისი წევრი ორგანიზაციების საერთო ეკონომიკურ ინტერესებს.

ისევე როგორც ამერიკის სავაჭრო პალატა, ჰიპერმარკეტი „გორგიაც“ 1998 წლიდან მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე სამშენებლო და სარემონტო სექტორში და ფილიალები საქართველოში სამ ყველაზე დიდ ქალაქში – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში აქვს.

ჰიპერმარკეტი „გორგია“ მომხმარებელს სამშენებლო და სარემონტო მასალებს საქართველოში ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს.



1. მეფედ კურთხევა
2. ... მოგივა დავითაო
3. ვრცელი ველები აფრიკაში
4. მხ/ფ „... ჭაბუკი“
5. კუნძული ინდონეზიაში
6. სულხან-საბა ...
7. მაგიდის ჩოგბურთი
8. ძაღლის ნაშიერი
9. მხარე საქართველოში
10. მსახიობი ... კრამაროვი
11. ყმაწვილი კაცი
12. კუნძული ინდონეზიაში
13. ცეცხლსასროლი იარაღი
14. შილაფლავის სანელებელი
15. ძვირფასი ქვა
16. კავშირი, გაერთიანება
17. ლუდის მასალა
17. იგავები: „ქილილა და ...“
18. ფირმა „...-პარი“
19. „... ვოდევილები“
20. მხ/ფ „როგორ მოიპარა ... შობა“
21. რეჟისორი პიერ პაოლო ...
22. მხატვარი ჟოან ...
23. კონტინენტი
24. ბოსტნეული
25. მსახიობი დონატას ...
26. ოჯახის უმცროსი შვილი
27. მდინარე პარიზში
28. მეტყველების ორგანო
29. მომღერალი ... სიმონი
30. ყელზე: ... არტერია
31. მფრინავი, ანუ ...
32. პიონერების დასასვენებელი
33. მინიატურების თეატრის დამაარსებელი თენგიზ ...
34. ფანქრის შავი გული
35. ბრონტე. „ჯეინ ...“
36. „კუკარაჩა“ ინგა ...
37. მეგრული ხალხური სიმღერა
38. ინდიელების ვარცხნილობა
39. ცისარტყელას ფერი
40. იაზონის გემი
41. ოპერა „... გიუნტი“
42. დედამიწის განსახიერება ბერძ.მით.
43. მსახიობი ... ასანტე
44. ვენესუელას დედაქალაქი
45. ტოტი
46. სატირული მიბაძვა
47. სისხლნაკლებობა
48. ბიბლიური მოსე ძმა
49. დედამიწის ნულოვანი სარტყელი
50. მსახიობი ... გარდნერი
51. პოეტი ... მიცკევიჩი
52. უფრთო ფრინველი
53. მომღერალი ენრიკე ...
54. ქალაქი პოლონეთში
55. მსახიობი არჩილ ...
56. ქართველების დასახლება ირანში
57. ქალაქი ესპანეთში
58. მთიური ცხენკაცი
59. ორკესტრის ხელმძღვანელი
60. თვალის ფერადი გარსის ანთება
61. სამშენებლო მასალა
62. ნილოსის რეპტილია
63. ინდიელების ქოხი
64. კიპლინგის მოთხრობა
65. მხ/ფ „ბედის ..., ანუ გაამოთ“
66. კუნძული ატლანტის ოკეანეში
67. მზის სხივი
68. გულის მთავარი სისხლძარღვი
69. მგალობელი ფრინველი
70. კუნძულოვანი სახელმწ. წყნარ ოკეანეში
71. მსახიობი ... რიშარი
72. უქონრო თუთიყუში
73. ერთგვარი ეტლი
74. ლანგარი
75. პატარა ნარგავი ტყე
76. სოფელი დუშეთის რაიონში
77. აზრი
78. თმის წითელი საღებავი
79. კომპოზიტორი მერი ...
80. კედელზე გასაკრავი ქაღალდი
81. ერთგვარი ღუმელი
82. გულსაბნევი
83. ხრახნი
84. ჩეხეთის დედაქალაქი
85. სანოტო სისტემის ფრჩხილი
86. ევროპის პირველი მესტამბე
87. ირლანდიელების წმინდანი
88. „კაპიტან ... შვილები“
89. ქალაქი ყირიმზე
90. ბალახი
91. ცხენის რძის სასმელი
92. მით. მეომარი ქალი
93. ფალიაშვილის ოპერა
94. ძლიერნი ... სოფლისანი
95. გადამდნარი კარაქი
96. მეცნიერება მიწისძვრების შესახებ
97. წყლის ძუძუმწოვარი
98. ქალაქი ლატვიაში
99. ზღვა საბერძნეთთან
100. ღია საბანაო კოსტიუმი
101. ზოდიაქოს ნიშანი
102. მით. გმირი. ცნობილია ქუსლით
103. კუნძული. ცნობილია ვარანით
104. მდინარე იტალიაში
105. ტაბლეტი
106. საესტრადო სასულე ინსტრუმენტი
107. სიმსივნის ფორმა
108. გაზეთების ჯიხური
109. ეკვადორის დედაქალაქი
110. ქალაქი ფლორიდაზე
111. სინდისი
112. ბულგარული არაყი
113. დაბა ჯავახეთის მხარეში
114. ცხენების ჯოგი
115. დიდი ციგა
116. ევროპული ვალუტა
117. მომღერალი ... ჯონი
118. მსახ. ... ამირანაშვილი
119. იალქანი
120. ლითონის ცხაური
121. მსახ. ... ვარდალოსი
122. მხატვარი სალვადორ ...
123. მტაცებელი ფრინველის ფრენა
124. ფუტკრების სახლი
125. გამის ნოტი
126. პომიდვრის წვენი
127. მეწისქვილის წილი ფქვილიდან
128. სკანდინავიური თქმულება
129. ცეცხლგამძლე კარადა
130. გერდას მეგობარი ბიჭუნა
131. ვაშლი, მსხალი, ატამი
132. ... აბრაამის ბატკანი
133. ღამის ფრინველი
134. მსახ. აიშვარია ...
135. სატრფიალო პოეზიის მუზა
136. აბატი პრევო. „... ლესკო“
137. მსახიობი იგორ ...
138. მუსიკალური ინტერვალი
139. „დორიან ... პორტრეტი“
140. ბრტყელი თევზი
141. ... პუგაჩოვა

პასუხები: 1. კორონაცია; 2. რაც; 3. სავანა; 4. საზუდარელი; 5. ბალი; 6. ორბელიანი; 7. პინგ-პონგი; 8. ლეკვი; 9. სვანეთი; 10. საველი; 11. ჯეელი; 12. იავა; 13. რევოლვერი; 14. ძირა; 15. იაგუნდი; 16. ლიგა; 17. ალაო; 17. დამანა; 18. ისი; 19. ძველი; 20. გრინჩმა; 21. პაზოლინი; 22. მირო; 23. ევროპა; 24. ბროკოლი; 25. ბანიონისი; 26. ნაზოლარა; 27. სენა; 28. ენა; 29. აფრიკ; 30. საძილე; 31. პილოტი; 32. ბანაკი; 33. ჩანტლაძე; 34. გრაფიტი; 35. ეარი; 36. ლალიაშვილი; 37. „სისატურა“; 38. იროკეზი; 39. იისფერი; 40. „არგო“; 41. პერ; 42. გეა; 43. არმან; 44. კარაკასი; 45. რტო; 46. პაროდია; 47. ანემია; 48. აარონი; 49. ეკვატორი; 50. ავა; 51. ადამ; 52. კივი; 53. იგლესიასი; 54. კრაკოვი; 55. გომიაშვილი; 56. ფერეიდანი; 57. ვალიადოლიდი; 59. დირიჟორი; 60. ირიტი; 61. კირი; 62. ნიანგი; 63. ვიგვამი; 64. „მაუგლი“; 65. ირონია; 66. გრენლანდია; 67. ათინათი; 68. აორტა; 69. მოლაღური; 70. სამოა; 71. პიერ; 72. არა; 73. ფაეტონი; 74. სინი; 75. კორომი; 76. მლეთა; 77. იდეა; 78. ინა; 79. დავითაშვილი; 80. შპალერი; 81. გრილი; 82. ბროში; 83. ვინტი; 84. პრაღა; 85. აკოლადა; 86. გუტენბერგი; 87. პატრიკი; 88. გრანტის; 89. იალტა; 90. იონჯა; 91. კუმისი; 92. ამორძალი; 93. „დაისი“; 94. ამა; 95. ერბო; 96. სეისმოლოგია; 97. დელფინი; 98. იურმალა; 99. აზი; 106. საქსოფონი; 107. მიომა; 108. კიოსკი; 109. კიტო; 110. მაიამი; 111. ნამუსი; 112. რაკია; 113. ადიგენი; 114. რემა; 115. მარხილი; 116. ევრო; 117. ელტონ; 118. ამირან; 119. აფრა; 120. გისოსი; 121. ნია; 122. დალი; 123. ირაო; 124. სკა; 125. სი; 126. მორსი; 127. მინდი; 128. საგა; 129. სეიფი; 130. კაი; 131. ხილი; 132. მამა; 133. ბუ; 134. რაი; 135. ერატო; 136. მანონ; 137. ილინსკი; 138. კვარტა; 139. გრეის; 140. კამბალა; 141. ალა. იკითხება: ნანი ბრეგვაძე.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ჟელატინიანი ტკბილეული
2. ციტრუსი
3. ქალაქი ქვემო ქართლში
4. ... ქურდი ცხონდაო
5. უძვ. სახელმწიფო წინა აზიაში
6. ფრანკის მეასედი
7. გაუფასურებული ფულის ნიშნების ამოღება და შეცვლა
8. მხ/ფ „მაცივარში ვიღაც ...“
9. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა
10. ყურძნის ჯიში
11. არსენა ...
12. რეჟისორი სერგეი ...
13. გემის მოძრავი კიბე
14. ქიმიური ელემენტი
15. ლერწმის არაყი
16. ქალაქი იტალიაში
17. რეჟისორი რეზო ...
18. ქალაქი გერმანიაში
19. მხატვარი რაფაელ ...
20. მხ/ფ „კუჩხი ბედნიერი“ ძაღლი
21. მსახიობი დრიუ ...
22. ძველი ქართული დამწერლობის ძეგლი
23. ოტელოს ეროვნება
24. ებრაული რიტუალ. ხმიადი
25. თმის წითელი საღებავი
26. იგავი
27. კენიის დედაქალაქი
28. ხორბლის დიდი საცავი
29. მარილიანის გემო
30. ნახ. კუნძული ევროპაში
31. მსახიობი ჯეისონ ...
32. ნორვეგიის დედაქალაქი
33. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
34. მეფის მრჩეველი
35. შესახედაობა
36. ბრძენი ქალი რუსულ ზღაპრებში
37. მომღერალი ... ბურჭულაძე
38. ექს-პრეზიდენტი ნიკოლა ...
39. მეცნიერება ადამიანის აგებულებაზე
40. რევაზ ლაღიძის ოპერა
41. ენათმეცნიერება
42. ფალიაშვილის ოპერა
43. სომეხი რევოლუციონერი
44. ქართ. ფულის ერთეული
45. მსახიობი ჯონ ...
46. ერთი ეკლესიის მომლოცველები
47. კლდიაშვილი. „... ღორები“
48. ... მორჩილაძე
49. სკოლის ხელმძღვანელი
50. მოკრივე მუჰამედ ...
51. სამზარეულოს ჭურჭელი
52. მწერის გარდაქმნის სტადიები
53. საკანცელარიო ნივთი
54. ნუსხა
55. მზის ღმერთი ...-რა
56. მჭევრმეტყველება
57. ქართ. ხალხური ზღაპარი
58. მდინარე ჩინეთში
59. ყურძნის შაქარი
60. მხატვარი ავთო ...
61. თვითნასწავლი მხატვრობა
62. ზღაპარი „12 ...“
63. კანის ინფექც. დაავადება
64. მალამო
65. მთათა სისტემა ...-შანი
66. ესპანური ცეკვის დროს თითებზე ჩამოსაცმელი საჩხარუნოები
67. კომპოზიტორი ... ყანჩელი
68. მოცეკვავე ... დოლაბერიძე
69. ქალაქი პოლონეთში
70. ქალაქი ინგლისში
71. ქალაქი თურქეთში
72. ოკეანოგრაფი ჟაკ-ივ ...
73. რბილი ფანქარი
74. ბოკაჩოს ნაწარმოები
75. რეჟისორი ... სკოტი
76. ცხენებშებმული ტრამვაი
77. ნოტების დასადები სადგარი
78. კონტინენტი
79. მსახიობი ადრიანო ...
80. კომში
81. რეჟისორი ლარს ფონ ...
82. დიდი, სქელი შალი
83. ... ალი იბნ სინა, იგივე ავიცენა
84. ნიკო ფიროსმანაშვილი, იგივე ...
85. ქალაქი უკრაინაში
86. დათვის ნაშიერი
87. ზღვის ძუძუმწოვარი
88. აბრეშუმის ქსოვილი
89. მსახიობი ... ემე
90. მწერალი ლუიჯი ...
91. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
92. ძვირფასი წითელი ქვა
93. მოაჯირიანი ასასვლელი
94. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
95. გეომეტრიული ფიგურა
96. პრეზიდენტი ბარაკ ...
97. გრძელი კბილი
98. ფედერიკო ფელინის ფილმი
99. ჯიხვების ჯოგი
100. მისი დედაქალაქია ბაღდადი
101. მსახიობი ... სხირტლაძე
102. ინგლისური ლუდი
103. ნიშნავს ახალს
104. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი
105. ხახა, ანუ ...
106. მომღერალი ... ჯაბუა
107. კატის ნაშიერი
108. მტირალა ხე
109. დადებითი ელექტროდი
110. თბილისის უბანი
111. მსახიობი ... დუგლასი
112. იური სოლომინი სერიალში „მისი აღმატებულების ...“
113. ბუდისტი მასწავლებელი
114. უკრაინული ავტომობილი
115. მუზების მფარველი ღმერთი
116. ურჩხული ჩინურ ზღაპრებში
117. ტროპიკული ნაყოფი
118. მწერალი ჟიულ ...
119. მსახიობი ჟერარ ...
120. ლეშისმჭამელი ფრინველი
121. არქიტექტურული სტილი
122. ზოდიაქოს ნიშანი
123. მოკრივე ... ჰოლიფილდი
124. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
125. ჩანთოსანი დათვი
126. დიდი შანდალი
127. მწერალი ... ტოლსტოი
128. ტოტი
129. მუსიკოსი მერაბ ...
130. იავნანა, ანუ ...
131. ... ინგოროყვა
132. ალამი
133. ჩეხური ავტომობილი
134. მარილიანი სითხე კანზე
135. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
136. კუნძული იტალიაში
137. დათუნია ... პუჰი
138. მდინარე საფრანგეთში
139. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
140. იუპიტერის თანამგზავრი
141. მოსამართლის მოსასხამი

პასუხები: 1. მარმელადი; 2. მანდარინი; 3. მარნეული; 4. ქურდის; 5. ურარტუ; 6. სანტიმი; 7. დევალვაცია; 8. იჯდა; 9. გემა; 10. ალადასტური; 11. ოძელაშვილი; 12. ფარაჯანოვი; 13. ტრაპი; 14. ტიტანი; 15. რომი; 16. პარმა; 17. ესაძე; 18. დრეზდენი; 19. სანტი; 20. ბროლია; 21. ბერიმორი; 22. „ვისრამიანი“; 23. მავრი; 24. მაცა; 25. ინა; 26. არაკი; 27. ნაირობი; 28. ელევატორი; 29. მლაშე; 30. სკანდინავია; 31. სტეტჰემი; 32. ოსლო; 33. აგრა; 34. ვეზირი; 35. იერი; 36. ვასილისა; 37. პაატა; 38. სარკოზი; 39. ანატომია; 40. „ლელა“; 41. ლინგვისტიკა; 42. „დაისი“; 43. კამო; 44. ლარი; 45. ტრავოლტა; 46. მრევლი; 47. ბაკულას; 48. აკა; 49. დირექტორი; 50. ალი; 51. ქვაბი; 52. მეტამორფოზი; 54. სია; 55. ამონ; 56. რიტორიკა; 57. „ირმისა“; 58. იანძი; 59. გლუკოზა; 60. ვარაზი; 61. ნაივი; 62. თვე; 63. მუნი; 64. სალბუნი; 65. ტიან; 66. კასტანიეტი; 67. გია; 68. იამზე; 69. ლოძი; 70. ლივერპული; 71. სტამბოლი; 72. კუსტო; 73. პასტელი; 74. დეკამერონი; 75. რიდლი; 76. კონკა; 77. პიუპიტრი; 78. აზია; 79. ჩელენტანო; 80. ბია; 81. ტრიერი; 82. პლედი; 83. აბუ; 84. ნიკალა; 85. ლვოვი; 86. ბელი; 87. სელაპი; 88. ფარჩა; 89. ანუკ; 90. პირანდელო; 91. სარატოვი; 92. აყიყი; 93. კიბე; 94. მემ; 95. რომბი; 96. ობამა; 97. ეშვი; 98. ამარკორდი; 99. არვე; 100. ერაყი; 101. დუტა; 102. ელი; 103. ნეო; 104. პარაშუტი; 105. ყია; 106. მაია; 107. კნუტი; 108. ტირიფი; 109. ანოდი; 110. ვაკე; 111. კირკ; 112. ადიუტანტი; 113. გურუ; 114. ტავრია; 115. აპოლონი; 116. დრაკონი; 117. ბანანი; 118. ვერნი; 119. ფილიპი; 120. სვავი; 121. როკოკო; 122. ვერძი; 123. ევანდერ; 124. პან; 125. კოალა; 126. კანდელი; 127. ლევ; 128. რტო; 129. სანოძე; 130. ნანინა; 131. პავლე; 132. დროშა; 133. „შკოდა“; 134. ოფლი; 135. სერ; 136. სიცილია; 137. ვინი; 138. ლუარა; 139. სირ; 140. იო; 141. მანტია. იკითხება: მადონა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ხერხემლის ბოლო ნაწილი
2. მსახიობი ელიზაბეტ ...
3. კაპიტან ნემოს ნავი
4. ეროსი მანჯგალაძე სპექტაკლში „... ქუდი“
5. სვირინგი
6. მსახიობი ... დე ფიუნესი
7. სახის ნაწილი
8. მსახიობი სტივ ...
9. წყალსაცავი აზერბაიჯანში
10. ანტილოპას სახეობა
11. ბამბა, ანუ ...
12. გამხმარი ხილი
13. სახელმწიფო აზიაში
14. მსახიობი ჯულია ...
15. ... გათეთრების ყორანი
16. ძველი ხელნაწერი
17. ნაგებობა მდინარეზე
18. შენობა, სადაც დგას ტელესკოპი
19. სამკურნალო მცენარე
20. თანავარსკვლავედი
21. ბროში ადამიანის პროფილით
22. შეშველი სხეული მხატვრობაში
23. მსახიობის პირველი გამოსვლა
24. ქალაქი ზემო იმერეთში
25. შემწვარი კვერცხი
26. მეფის ვაჟი
27. ქალაქი შვეიცარიაში
28. ცეცხლსასროლი იარაღი
29. მსახიობი ... სტრიპი
30. გადაადგილების საშუალებელი
31. პარლამენტის მიერ დამტკიცება
32. მსახიობი პამელა ...
33. ქალაქი შვეიცარიაში
34. მხატვარი ლუკას ...
35. ქალაქი გერმანიაში
35. ზევსის მეოქიფე
36. ჩეხოვი. „... №6“
37. პოეტების საკრებულო მთა
38. რუსი ილუზიონისტი
40. გიგანტური ზომის ადამიანი
41. „სამი მუშკეტერი“ ავტორი
42. სამგლოვიარო საგალობელი
43. ელექტრომარეგულირ. ხელსაწყო
44. ზღვის ღმერთი ბერძ.მით.
45. გაზაფხული შემოსულა ...
46. მწვანე ნივთიერება ფოთოლში
47. ზღვის ნაწლავღრუიანი ორგანიზმი
48. მსახიობი ... რივზი
49. ... ჩემო ვენახო
50. ექსპრეზიდენტი რონალდ ...
51. მწვანე მინერალი
52. მტაცებელი ფრინველი
53. მუცელი (მოძვ.)
54. „დორიან ... პორტრეტი“
55. რიცხვი 3,14
56. ოჯახის უმცროსი შვილი
57. რაიმეს ჩამოსასხმელი ფორმა
58. სავანის ბინადარი ცხოველი
59. სამშენებლო იარაღი
60. ახლადმოჭრილი წნელა
61. მოხარშული ზეთი
62. ორელექტროდიანი მილაკი
63. ... შანელი
64. ძვირფასი ლითონი
65. პოლონური ფულის ერთეული
66. ჯუჯა ჟირაფი
67. ტაძარი ქარელის რაიონში
68. თავწათლილი სარი
69. გაზაფხულის თვე
70. თავის ჩოჩხი
71. მოდელი ... კროუფორდი
72. შრეკის სატრფო
73. სწავლის ... მწარე არის
74. თევზის ძვალი
75. ყურძნის ჯიში
76. თამაში: ... სული გსურს
77. გრძელი ხალიჩა
78. ვასილი შუკშინი ფილმში „წითელი ...“
79. ...-კლუქს-კლანი
80. ძაღლის ჯიში
81. ადამიანშებმული ეტლი
82. ექიმის სამოსი
83. პერუს დედაქალაქი
84. კურორტი ბულგარეთში
85. რეჟისორი ჯონ ...
86. დეტექტივი ... პუარო
87. ფირმა „...-პარი“
88. მათემატიკური გამოსაწულება
89. ხის სახელდახელო ნაგებობა
90. საცალფეხო გზა ტყეში
91. წყლის გამოხდის პროცესი
92. ვირას საპირისპირო ბრძანება
93. მსახიობი ... ჰეპბერნი
94. საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი წინამძღოლი
95. ტუნგუსკის ...
96. მსახიობი ... კალკინი
97. რას გასცემს მევახშე
98. რუსი მეცნიერი მიხეილ ...
99. ბალერინა გალინა ...
100. ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთება
101. მსაჯი
101ა. სახედარი
102. მსახიობი გოიკო ...
103. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
104. სპორტის სახეობა
105. შეზღუდული კვების რეჟიმი
106. იაპონური თავსატეხი
107. ... ყველაფერი, ... არაფერი
108. ქალაქი აშშ-ში
109. ქალაქი საფრანგეთში
110. მეკარე ვიქტორ ...
111. მომღერალი ... პრესლი
112. მსახიობი ... გრიფიტი
113. ყორღანი ვოლგოგრადთან
114. ქალაქი ინდოეთში
115. ბოსტნეული
116. კონსტ. გამსახურდიას მოთხრობა
117. ფრანგული მონეტა
118. სპორტ. ინვენტარის ფირმა
119. ხერხემლის გაღუნვა წინისკენ
120. შესახედაობა
121. „20000 ... წყალქვეშ“
122. მწერალი ... იაშვილი
123. იანის საპირისპირო
124. პროვინცია კანადაში
125. მსახიობი ვივიენ ...
126. ნიავი
127. სოლისტის პარტია
128. ფეხბურთელი ლუის ...
129. გამის ნოტი
130. თანხმობის ფორმა
131. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
132. სახლის გადასახურავი ბალახი
133. ლენონის ქვრივი
134. სამიანი ნარდში
135. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
136. მსახიობი ... საკანდელიძე

პასუხები: 1. კუდუსუნი; 2. ტეილორი; 3. „ნაუტილუსი“; 4. უჩინმაჩინის; 5. ტატუ; 6. ლუი; 7. ნიკაპი; 8. მარტინი; 9. მინგეჩაური; 10. გნუ; 11. კოტონი; 12. ჩირი; 13. ისრაელი; 14. რობერტსი; 15. არ; 16. მანუსკრიპტი; 17. ხიდი; 18. ობსერვატორია; 19. სალბი; 20. ორიონი; 21. კამეა; 22. ნიუ; 23. დებიუტი; 24. საჩხერე; 25. ომლეტი; 26. უფლისწული; 27. ბაზელი; 28. პისტოლეტი; 29. მერილ; 30. ტრანსპორტი; 31. რატიფიკაცია; 32. ანდერსონი; 33. ციურიხი; 34. კრანახი; 35. საარბრიუკენი; 36. პალატა; 37. პარნასი; 38. კიო; 39. განიმედი; 40. გოლიათი; 41. დიუმა; 42. ნენია; 43. რეოსტატი; 44. პოსეიდონი; 45. ლენ; 46. ქლოროფილი; 47. პოლიპი; 48. კიანუ; 49. ვაიმე; 50. რეიგანი; 51. მალაქიტი; 52. მიმინო; 53. სტომაქი; 54. გრეის; 55. პი; 56. ნაბოლარა; 57. ყალიბი; 58. მარტორქა; 59. თარაზო; 60. როზგი; 61. ოლიფა; 62. დიოდი; 63. კოკო; 64. ოქრო; 65. ზლოტი; 66. ოკაპი; 67. ყინწვისი; 68. მარგილი; 69. მაისი; 70. ქალა; 71. სინდი; 72. ფიონა; 73. ძირი; 74. ფხა; 75. რქაწითელი; 76. ვისი; 77. ფიანდაზი; 78. ძახველი; 79. კუ; 80. როტვეილერი; 81. რიქშა; 82. ხალათი; 83. ლიმა; 84. ვარნა; 85. ვუ; 86. ერკიულ; 87. ისი; 88. წილადი; 89. ბარაკი; 90. ბილიკი; 91. დისტილაცია; 92. მაინა; 93. ოდრი; 94. მარატი; 95. მეტეორი; 96. მაკოლეი; 97. თამასუქი; 98. ლომონოსოვი; 99. ულანოვა; 100. რადიკულიტი; 101. რეფერი; 101ა. ვირი; 102. მიტიჩი; 103. სალიერი; 104. ცურვა; 105. დიეტა; 106. სუდოკუ; 107. ან; 108. პორტლენდი; 109. ლიონი; 110. ვალდესი; 111. ელვის; 112. მელანი; 113. მამაი; 114. კალკუტა; 115. კიტრი; 116. „ლილ“; 117. ეკიუ; 118. „ნაიკი“; 119. ლორდოზი; 120. იერი; 121. ლიე; 122. პაოლო; 123. ინი; 124. კვებეკი; 125. ლი; 126. სიო; 127. სოლო; 128. სუარესი; 129. სი; 130. კი; 131. პიანო; 132. ისლი; 133. ონო; 134. სე; 135. სირიუსი; 136. კარლო. იკითხება: უილ სმიტი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მსუსხავი ბალახი
2. ქალაქი უზბეკეთში
3. ქართ. ხალხური სიმღერა
4. ტუალეტის წყალი
5. სანოტო ფიგურული ფრჩხილი
6. „... და ქილა ერბო“
7. ქვის ღობე
8. კურტ კობეინის ანსამბლი
9. სინდისი
10. მსახიობი ... თურმანი
11. მონო, ..., ტრი, ტეტრა
12. იუპიტერის თანამგზავრი
13. რომელიმე ხალხის გათქვეფა სხვა ხალხში
14. მერკურის ძველი სახელწ.
15. ... სჯობია ლონესა
16. მტრედის ბარტყი
17. სლოვაკეთის დედაქალაქი
18. ბრინჯაო
19. თეატრის სცენის განათება
20. მომღერალი ... ბურჭულაძე
21. ჩვილის საწოლი
22. ციტრუსი
23. ზღვა იტალიასთან
24. მოულოდნელად, ანუ ...
25. შტატი აშშ-ში
26. ორგანული გამხს-ნელი
27. მისი დედაქალაქია დუბლინი
28. ერთკუზიანი აქლემი
29. მსახიობი ... მაკდაუელი
30. მწერალი ერიხ ... რემარკი
31. მსახიობი ... ჰეივორტი
32. მდინარე თერგის ხეობა
33. ჩანჩქერი აშშ-ში
34. კომში
35. მხ/ფ „... გარეუბნიდან“
36. მდინარე ქუთაისში
37. სლავური ანბანი
38. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
39. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
40. მსახიობი სოფი ...
41. მზის ამოსვლა
42. სამზარეულოს ჭურჭელი
43. ფაიფურის თეთრი თიხა
44. მომღერალი ... ჯოხაძე
45. იტყვიან ქურდზე
46. სისხლნაკლებობა
47. მსახიობი ... ვენტურა
48. სახის ნაწილი
49. იოლი, ანუ ...
50. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
51. იაპონური ჭადრაკი
52. მდინარე კახეთში
53. ყინვაგამძლე სითხე
54. ველური ყაყაჩო
55. დროის უკმარისობა ჭადრაკში
56. სოფელი თელავის რაიონში
57. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
58. ... მოგივა დავითაო
59. მშობიარობის დამხმარე
60. ხორბლის გასალეწი ფიცარი
61. მისი დედაქალაქია მადრიდი
62. დიდი სანთელი
63. ფილოსოფოსი ემანუილ ...
64. ორი ადამიანის საუბარი
65. 365 დღე
66. საქმეში ჩადებული წილი
67. პოეტი ... ბარტო
68. ნახტომი ... მორტალე
69. ჩანთოსანი დათვი
70. მსახიობი ... ფაროუ
71. მეტყველების ექიმი
72. მზის საათი მოედანზე
73. ბილიარდის ჯოხი
74. არქიტექტურული სტილი
75. ქორბუდა ცხოველი
76. ... ბედის მონახევრეა
77. მდინარე ინდოეთში
78. რძის პროდუქტი
79. ... პუგაჩოვა
80. დასარტყამი საკრავი
81. ჩეხეთის დედაქალაქი
82. დონ კიხოტ ...
83. რგოლებიანი პლანეტა
84. სანელებელი ბალახი
85. გაფუჭებული კვერცხი
86. რბილი ადგილი ჩვილის თავზე
87. მომღერალი ... ჯაგერი
88. „წითელი“ პლანეტა
89. ერთგვარი ბორანი
90. მთათა სისტემა ... შანი
91. მომღერალი ... რიდი
92. ტბა თბილისში
93. რუკების კრებული
94. მთის გამოძახილი
95. რომის პაპის გვირგვინი
96. ჯუჯა ცხენი
97. მხ/ფ „მზიური ... სერენადა“
98. მომღერალი კრისტინა ...
99. ... ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმი
100. მსახ. ... ბეგალიშვილი
101. დუჟინი, ანუ ...
102. მხატვარი დიეგო ...
103. მსახიობი ჟერარ ...
104. ციხე სიმაგრე დუშეთის რაიონში
105. ორკუზიანი აქლემი
106. მისი დედაქალაქია ოსლო
107. ღვინის საწყაო
108. მდინარე საფრანგეთში
109. მსახიობი ... ბრინერი
110. მაიმუნის სახეობა
111. დასარტყამი საკრავი
112. პატარა, გამხდარი ადამიანი
113. ერთგვარი ქარი
114. ფრანგ. ხურდა ფული
115. ცომში მოხვეული ფარში
116. ფასიანი ქაღალდი
117. ესპანელი დიდებული
118. პურის მაგარი ზედაპირი
119. იგავები: „... და დამანა“
120. კათოლიკური საგალობელი
121. მოლუსკის ნიჟარის შრე
122. ხილი
123. ინის საპირისპირო
124. და ვინჩის ერთ-ერთი მადონა
125. ინდური კაბა
126. უკრაინის პარლამენტი
127. მდინარე ინდოეთში
128. მსახიობი ... ჰარლი
129. ზორიაქოს ნიშანი
130. ახალი ზელანდიის მკვიდრი
131. დიდი საჰაერო შენაერთი
132. ... ხაჩატურიანი
133. ფიგურული ქსოვის ტექნიკა
134. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
135. ვირას საპირისპირო ბრძანება
136. რეჟისორი ფრანკო ...
137. „... ჭკუისაგან“
138. გოგოლის მოთხრობა
139. პროვინცია ესპანეთში
140. მეფის მრჩეველი
141. ზამბახი
142. უეცარი შიში

პასუხები: 1. ჭინჭარი; 2. სამარყანდი; 3. სისატურა; 4. ოდეკოლონი; 5. აკოლადა; 6. გლახაკი; 7. ყორე; 8. „ნირვანა“; 9. ნამუსი; 10. უმა; 11. დი; 12. იო; 13. ასიმილაცია; 14. ოტარიდი; 15. ხერხი; 16. ხუნდი; 17. ბრატისლავა; 18. რვალი; 19. რამპა; 20. პაატა; 21. აკვანი; 22. გრეიპფრუტი; 23. ადრიატიკა; 24. სპონტანური; 25. მინესოტა; 26. სკიპიდარი; 27. ირლანდია; 28. დრომადერი; 29. ენდი; 30. მარია; 31. რიტა; 32. დარიალი; 33. ნიაგარა; 34. ბია; 35. მილიონერი; 36. რიონი; 37. კირილიცა; 38. ტატამი; 39. მემ; 40. ლორენი; 41. აისი; 42. ტაფა; 43. კაოლინი; 44. ანრი; 45. ბაცაცა; 46. ანემია; 47. ლინო; 48. ყბა; 49. ადვილი; 50. მარადია; 51. გო; 52. იორი; 53. ანტიფრიზი; 54. იორდასალამი; 55. ცაიტნოტი; 56. ნაფარეული; 57. ტანგენსი; 58. რაც; 59. მეანი; 60. კევრი; 61. ესპანეთი; 62. კელაპტარი; 63. კანტი; 64. დიალოგი; 65. წელიწადი; 66. პაი; 67. აგნია; 68. სალტო; 69. კოალა; 70. მია; 71. ლოგოპედი; 72. გნომონი; 73. კიი; 74. ამპირი; 75. ირემი; 76. ცდა; 77. განგი; 78. მაწონი; 79. ალა; 80. ქსილოფონი; 81. პრაღა; 82. ლამანჩელი; 83. სატურნი; 84. ქონდარი; 85. ლაყე; 86. ყიფლიბანდი; 87. მიკ; 88. მარსი; 89. რორო; 90. ტიან; 91. დინ; 92. ლისი; 93. ატლასი; 94. ექო; 95. ტიარა; 96. პონი; 97. ველის; 98. აგილერა; 99. მადამ; 100. ბადრი; 101. თორმეტი; 102. ველასკესი; 103. ფილიპი; 104. ანანური; 105. ბაქტრიანი; 106. ნორვეგია; 107. ჩაფი; 108. რონა; 109. იულ; 110. ბაბუინი; 111. დოლი; 112. ჩია; 113. სამუმი; 114. სუ; 115. ხინკალი; 116. ასიგნაცია; 117. გრანდი; 118. ქერქი; 119. ქილილა; 120. მესა; 121. სადაფი; 122. გარგარი; 123. იანი; 124. ლიტა; 125. სარი; 126. რადა; 127. განგი; 128. ლიზ; 129. ვერძი; 130. მაორი; 131. არმია; 132. არამ; 133. მაკრამე; 134. სირ; 135. მაინა; 136. ძეფირელი; 137. ვაი; 138. „ვიი“; 139. ანდალუსია; 140. ვეზირი; 141. ირისი; 142. ელდა. იკითხება: ჭიამაია.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

# რამდენი ტყუილია „ენდიაი“-ს კვლევებში?

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE
FOR INTERNATIONAL AFFAIRS

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ჯერ კიდევ შარშან გვეგონა, ლუის ნავარო წავიდოდა და დავისვენებდით, მაგრამ ჩვენ მაინც არაფერი გვეშველა. ამერიკის „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“, ანუ „ენდიაი“ ყველაფერს მაინც თავისებურად ჭრის და კერავს.

ეს „ენდიაი“ ისეთ გამოკითხვებს წარმოგვიდგენს ხოლმე, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, თავადვე რომ სჯეროდეთ. მაგალითად, ბოლო დროს რეგულარულად გვეკითხებიან, ევროკავშირში გვინდა შესვლა თუ „ევრაზიულ კავშირში“? კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 24% „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრიანებას უჭერს მხარს, 58% კი აცხადებს, რომ საქართველო ევროკავშირში უნდა გაწევრიანდეს. 8% მიიჩნევს, რომ საქართველო არც ერთ ორგანიზაციაში არ უნდა გაწევრიანდეს. ეს არის სრული იდიოტიზმი თუნდაც იმიტომ, რომ „ევრაზიული ხალხის გამოთაყვანება!

„ენდიაის“ კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 69%-ისთვის საქართველოს მთავრობის მიზანი, გახდეს ნატოს წევრი, მისაღებია. 21% აცხადებს, რომ მიუღებელია. გამოკითხულთა 57% მიიჩნევს, რომ ნატოს წევრობა საქართველოს უსაფრთხოებას მოუტანს, ხოლო 45%-ის აზრით, საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. აქაც აბითურებენ ჩვენს მოსახლეობას, ამერიკელები ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ ნატოს წევრობა გაგვიუმჯობესებს ეკონომიკურ მდგომარეობას, აქ ერთმანეთში გვირევენ ევროკავშირსა და ნატოს. თუკი ჩვენი მოსახლეობის 45% ფიქრობს, რომ ნატო ეკონომიკურად აგვაყვავებს, მაშინ 69%-ის მხარდაჭერაც გაყალბებულია, ჩვენი ხალხის უმეტესობა ელემენტარულადაც კი ვერ ერკვევა ნატოს სტრუქტურაში და მის ფუნქციებში.

კვლევის თანახმად, კითხვაზე, რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს, პირველი არჩევანის მიხედვით 30% აცხადებს, რომ არც ერთი პარტია. 18% – „ქართული ოცნება“, ხოლო მეორე არჩევანის მიხედვით – 4%. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, პირველი არჩევანი – 14%, მეორე არჩევანი – 3%. „თავისუფალი დემოკრატები“, პირველი არჩევანი – 9%, მეორე არჩევანიც – 9%. „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“, პირველი არჩევანი – 5%, მეორე არჩევანი – 3%. „ლეიბორისტული პარტია“, პირველი არჩევანი – 5%, მეორე არჩევანი – 4%. „პატრიოტთა ალიანსი“, პირველი არჩევანი – 4%, მეორე არჩევანი – 3%. აქ უკვე პამპულაობასთან გვაქვს საქმე: პირველი არჩევანი, თუ ის არ იქნება, მეორე აირჩიეთო. დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარება, რომ ამჯერად „ენდიაის“ გარკვეული კორექტივები აქვს შეტანილი – „ლეიბორისტებს“ ცოტა აწეული აქვთ რეიტინგი, ხოლო „პატრიოტთა ალიანსს“ – დაწეული. აშკარად ვხედავთ, ამერიკელებს ირმა ინაშვილის აგრესიულობა და მიტინგების მოწყობა არ მოეწონათ. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის რეიტინგის დაცემასა და ირაკლი ალასანიას რეიტინგის გაუმჯობესებას, აქაც ვხედავთ, რომ ამერიკელები ალასანიას ბოლომდე არ სწირავენ და „ნაციონალებთან“ ერთად გარკვეულ რეზერვად მაინც ინახავენ.

კვლევის თანახმად, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, „ქართულ ოცნებას“ ხმას გამოკითხულთა 16% მისცემდა, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ – 10%. გაუგებარია, აქ რატომ არ ემთხვევა პირველადი არჩევანის მონაცემი, „ქართული ოცნების“ 18%-დან 2-მა პროცენტმა და „ნაციონალების“ 14%-დან 4-მა პროცენტმა გადაიფიქრა?!

კითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 35% აცხადებს, რომ ჯერ არ იცის. პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა გამოკითხულთა 15%-მა. 7% კი აცხადებს, რომ ხმას „თავისუფალ დემოკრატებს“ მისცემდა. 3% აცხადებს, რომ ხმას ნინო ბურჯანაძის პარტიას მისცემს. 3-3% „ლეიბორისტულ პარტიას“ და „პატრიოტთა ალიანსს“ მისცემდა. მოკლედ, შალვა ნათელაშვილს, ნინო ბურჯანაძესა და ირმა ინაშვილს პირველადი არჩევანის შემთხვევაში უფრო უკეთესი რეიტინგები აქვთ, ვიდრე პირდაპირი არჩევანის შემთხვევაში. აქ უკვე უიმედო მდგომარეობაა, ეს სამი პოლიტიკური ძალა ერთ ქვაბშია ჩაყრილი, თუ ასე წაიყვანეს საქმე, ვერც ერთი ვერ გადალახავს ბარიერს საპარლამენტო არჩევნებში. კითხვაზე – ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? გამოკითხულთა 64% აცხადებს, რომ მონაწილეობას მიიღებდა. ხვალ რომ არჩევნები იყოს, რომელი პარტია გაიმარჯვებდა? გამოკითხულთა 33% აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“, 9% – აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო 5% „თავისუფალ დემოკრატებს“ ასახელებს. ესე იგი, გამოკითხულთა 18% ფიქრობს, მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს „ქართული ოცნება“ დგას, 16% ამბობს, რომ ხმას ამავე პარტიას მისცემს, ხოლო 33%-ს მიაჩნია, რომ ეს პარტია გაიმარჯვებს. თუ ვფიქრობ, რომ ჩემს შეხედულებებთან ახლოს დგას, მაშინ ხმა „ქართულ ოცნებას“ უნდა მივცე და ასევე, უნდა მეგონოს, რომ გაიმარჯვებს. ეს სამი ფაქტორი ერთმანეთს არ გამორიცხავს.

კითხვაზე, რომელ პარტიას არასოდეს მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 21% „ნაციონალურ მოძრაობას“ ასახელებს, ხოლო 16% – ქართულ ოცნებას“. 25%-მა კითხვაზე პასუხი არ იცის.

53% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „რუსთავი 2“-ის მფლობელობასთან დაკავშირებული დავა უმთავრესად პოლიტიკურად მოტივირებულია და მედიის თავისუფლების შეზღუდვას ემსახურება. გამოკითხულთა 21% აცხადებს, რომ აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება, 14%-ის პოზიცია გაურკვეველია. ჯერ ერთი, გამოკითხულთა 53% აზრზე არ არის, რა ხდება „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით და მეორეც, რატომ გახდა მხოლოდ ერთი „ნაციონალური“ მედიასაშუალება „ენდიაის“ კვლევის საგანი და რატომ არ ტარდებოდა ანალოგიური გამოკითხვები „იმედის“ დარბევის შემდეგ? ახლა ნახეთ მომდევნო კითხვა: „რუსთავი 2“-ის მფლობელობასთან დაკავშირებული დავა არის უმთავრესად მოტივირებული კერძო მხარეებს შორის არსებული დაპირისპირების და ემსახურება კანონიერი მფლობელის დადგენას“? აღნიშნულ მოსაზრებას 36% ეთანხმება, 34% აცხადებს, რომ არ ეთანხმება. ხალხო, თუკი 53% მიიჩნევს, რომ ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული და საქმე გვაქვს მედიის შეზღუდვასთან, თუკი ამას მხოლოდ 21% არ ეთანხმება, მერე როგორღა გამოდის, რომ 36% კერძო დავად თვლის და ამას 34% არ ეთანხმება? ამასთანავე, თურმე 15% „არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება“, ხოლო 15%-მა არ იცის. რა აღრევაა და რა თავგზის აბნევაა, ეს კავშირი“ ბუნებაში არ არსებობს და შესაბამისად, ეს კითხვა არც უნდა არსებობდეს. ჩვენი მოსახლეობის 24 პროცენტს რომ ჰკითხოთ (თუნდაც 58 პროცენტს), ერთი ადამიანიც კი ვერ გეტყვით, რას წარმოადგენს ევრაზიული კავშირი, რა სტრუქტურაა და ასე შემდეგ. თუკი საკითხი ასე უნდა დავსვათ, მაშინ „ენდიაის“ მომავალში შეუძლია, ისიც გვკითხოს: მოსახლეობის რამდენ პროცენტს სურს საბჭოთა კავშირში დაბრუნება? მერწმუნეთ, ამ კუთხით ძალიან მაღალ მაჩვენებელს მივიღებთ. გარდა ამისა, „ენდიაი“ გვეუბნება, გამოკითხვა მთელი საქართველოს მასშტაბით ჩავატარე, ოღონდ მარტო ქართულენოვან მოსახლეობაში, 1881 ადამიანი გამოვკითხეო. რატომ მხოლოდ ქართულენოვან მოსახლეობაში? წინა კვლევაში „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრიანებას მხარს უჭერდა 35 პროცენტი, ახლა ეს მაჩვენებელი 24 პროცენტამდე დაიყვანეს. არადა, ჩვენ ვიცით, რომ საერთოდ, რუსეთს, სსრკ-ს, ევრაზიულ კავშირსა და ეგეთ რაღაცებს მხარს უფრო ეთნიკური უმცირესობები უჭერენ. როდესაც „ენდიაის“ კვლევა გამოქვეყნდა, ე.წ. ლიბერალებმა ქუდი ჭერში ჰკრეს, ნახეთ, რა პროგრესია, „ევრაზიულ კავშირს“ საქართველოში მომხრეები შეუმცირდაო. თქვე იდიოტებო, მომხრეები კი არ შეუმცირდა, არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის არაფერი უკითხავთ და ასე შეგიმცირეს პროცენტები. ამას ჰქვია ციფრებით მანიპულაცია და 1881 ადამიანი ასეც ფიქრობს, ისეც და თან არაფერი იცის?!

მეგობრებთან პოლიტიკურ მოვლენებზე სატელეფონო საუბრისას გამოკითხულთა 50% თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს. გამოკითხულთა 38% აცხადებს, რომ თავს უსაფრთხოდ გრძნობს (ბედნიერი 38%).

კვლევის მიხედვით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიდან გამოკითხულთა 61% პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრისას თავს უსაფრთხოდ გრძობს, 28% არ გრძნობს თავს უსაფრთხოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების 71% თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს, 18% – უსაფრთხოდ გრძნობს (ა, „ნაციონალებსაც“ ჰყოლიათ ბედნიერები). ისე, საინტერესოა, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების 28% რომ თავს ვერ გრძნობს უსაფრთხოდ და ჰგონია, დღე და ღამე უსმენენ, მაშინ რატომღა არიან ასეთები მხარდამჭერები, რა ხდება? იგივე შეიძლება ითქვას „ნაციონალების“ 18%-ზეც, რომელიც თავს უსაფრთხოდ გრძნობს – როგორ შეიძლება, რომელიმე „ნაციონალმა“ ასეთი რამ თქვას, ეს ხომ დედა პარტიის ღალატია? მოკლედ, იყო ნავარო, გვაშტერებდნენ, წავიდა ნავარო – მაინც გვაშტერებენ. რაკი აღნიშნული ორგანიზაცია ამერიკელების ერთგვარი პიარმანქანაა და ვერ ვიშორებთ, მაშინ ჩვენ უნდა ვისწავლოთ მათი ბოროტი ზრახვების გამოაშკარავება და ყველაფრის წაკითხვა ჩვენებურად.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ამ ამბის დაჯერება ცოტა რთული კია, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც გაითვალისწინეთ!




„ფეისბუკში“ ვრცელდება პოსტი, რომლითაც სოციალური ქსელის მომხმარებელი ქრისტინე ზირაქაძე საზოგადოებას აფრთხილებს.

– გოგოებო, გუშინ ისეთი ამბავი გავიგე, შოკირებული ვარ. მინდა, თქვენც გითხრათ და გაგაფრთხილოთ ისე, როგორც ჩემი ოჯახი და ახლობლები გავაფრთხილე. მოკლედ, ერთ-ერთი ბიჭი, რომელსაც აქვს შიდსი, ისეა გაბოროტებული, რომ ნემსზე, რომელზეც მისი სისხლია უმნიშვნელოდ დატანილი, დებს ჩასარიცხი აპარატის ხურდის ჩასაყრელში რომ ვინმეს უჩხვლიტოს და ისიც დაინფიცირდეს.

უკვე დაინფიცირებულია 6 ადამიანი. ისინი გამოვლინდნენ ოფისში დარეკვის შედეგად, რომლებმაც თითი დაიზიანეს და ბევრი ფიქრის მერე ეჭვი მიიტანეს, რომ ვიღაცას სურდა, სხვაც დაინფიცირებულიყო და მართალი აღმოჩნდა. მოკლედ, ფრთხილად იყავით. არ შემეძლო არ გამეფრთხილებინეთ და თუ ნემსს შეამჩნევთ ხურდის ჩასაყრელთან, აუცილებლად მოახდინეთ რეაგირება. დაიცავით სხვებიც თქვენთან ერთად, – წერს ფეისბუკმომხმარებელი. (etanews.ge)

## მიხეილ სააკაშვილს 5-წლიანი პატიმრობა ემუქრება



ოდესის მოქალაქემ ოლქის გუბერნატორს სასამართლოში უჩივლა და პროცესი მოიგო. მიხეილ სააკაშვილს სასამართლომ, ფულადი ჯარიმის სახით, 680 გრივნის გადახდა დააკისრა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, გუბერნატორს აღმასრულებელი დოკუმენტისა და სახელმწიფო აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფაში ადანაშაულებენ. თუ გუბერნატორის მიერ სასამართლო გადაწყვეტილება შესრულებული არ იქნება, აღმასრულებელი მას ფულად ჯარიმას გაუორმაგებს და სამართალდამცავ სტრუქტურებს, ოლქის გუბერნატორს სასამართლოს ოფიციალური განაჩენის დაუმორჩილებლობის გამო, გაფრთხილების მიცემის მოთხოვნით მიმართავს.

მაქსიმალური სასჯელი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ შეიძლება იქნას გამოყენებული, 5-წლიანი პატიმრობაა.

მომჩივანის ინფორმაციით, მან სამხარეო ადმინისტრაციას მიმართა და გუბერნატორთან შეხვედრა მოითხოვა, რისი უფლებაც მას კანონით აქვს მინიჭებული, რაზეც სამხარეო ადმინისტრაციაში უარი განუცხადეს. მოქალაქემ ჩათვალა, რომ ამით მისი მოქალაქეობრივი უფლებები დაირღვა და საოლქო ადმინისტრაციულ სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომელმაც გუბერნატორს მოქალაქესთან შეხვედრა, იძულებითი წესით დააკისრა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კობახიძე, ბესელია — ელისაშვილი გვარებს ასახელებს



საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, ალეკო ელისაშვილი სკანდალურ განცხადებას აკეთებს. შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის განცხადებით, „ქართული ოცნების" მაღალჩინოსნებს, კერძოდ, ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძეს არაჯანსაღი, დაჟინებული და კატეგორიული ინტერესი ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ კოკაინის საქმეზე მსჯავრდადებული პირების შეწყალებასთან დაკავშირებით.

– ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძეს არ აინტერესებდათ სხვა მსჯავრდადებულები. მირეკავდნენ, მესიჯებს მიგზავნიდნენ. იყო ინფორმაცია, რომ ამ არაჯანსაღი და დაჟინებული ინტერესების მიმართ სხვა ანგარება და დაინტერესებაც იყო, – ამბობს ელისაშვილი.

რაც შეეხება იმას, საიდან იცის ბესელია-კობახიძის ამ საქმეში ფულადი დაინტერესების შესახებ, ელისაშვილი ამბობს, რომ ეს ინფორმაცია მას წყარომ მიაწოდა და მისი ვინაობის დასახელებას არ აპირებს.

ამასთანავე, ალეკო ელისაშვილმა „კურიერისთვის" მიცემულ ინტერვიუში პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა.

– მოვითხოვ, ეკა ბესელიას საპროკურორო საბჭოს წევრობა შეუჩერდეს. ასევე, შეუჩერდეს უფლებამოსილება მთავარი პროკურორის მოადგილეს, გიორგი გოგაძეს. ასევე, მოვითხოვ, ვიცე-სპიკერის უფლებამოსილება შეუჩერდეს მანანა კობახიძეს, – აცხადებს ალეკო ელისაშვილი. (ნიუპოსტი)

## გიორგი გაბედავა — ივანიშვილი აპირებს ვანო ჩხარტიშვილს გურიის საარჩევნო ოლქი ჩააბაროს

პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული გიორგი გაბედავა საქართველოს პროკურატურას მოუწოდებს, დაინტერესდეს ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის საქმით. აღნიშნული განცხადება გიორგი გაბედავამ ორგანიზაცია სმარტ კაპიტალის ოფისთან გააკეთა, რომელიც, მისივე თქმით, ვანო ჩხარტიშვილის ოფისია. როგორც გიორგი გაბედავა აცხადებს, ის, ასევე, მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტსა და ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს, შეწყვიტონ ვანო ჩხარტიშვილის მხარდაჭერა.

– ნაძირალა ვანო ჩხარტიშვილი, რომელმაც საქართველოს მოსახლეობის ანაბრები მოიპარა და ამის შემდეგ გახდა ბიზნესმენი, დღესაც განაგრძობს საქმიანობას. ვანო ჩხარტიშვილს ცოტა ხნის წინათ ჰქონდა მცდელობა, გადაებირებინა საქართველოს პრეზიდენტი, რათა შეექმნათ პარტია და მოსულიყო ხელისუფლებაში, ეს არ გამოუვიდა, საბედნიეროდ. ახლა ის ცდილობს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახდეს და ამისთვის ფინანსებს არ იშურებს. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს, არ გაეხვიოს ვანო ჩხარტიშვილის ავანტიურაში. ასევე, მაქვს ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი აპირებს, არჩევნების დროს მას ჩააბაროს გურიის საარჩევნო ოლქი, ჩვენ მასაც მოვუწოდებთ, რომ თავი შეიკავოს ამ ავანტიურისტი ადამიანის პოლიტიკასთან რამენაირად დაახლოებასთან. ასევე, მოვუწოდებ საქართველოს პროკურატურას, დაინტერესდეს ანაბრების თემით და დაიწყოს სამართლებრივი დევნა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ, რომელმაც მოიპარა საქართველოს მოსახლეობის მიერ შეტანილი ანაბრები, რომლის დაბრუნებასაც გვპირდებოდა მთავრობა, – განაცხადა გიორგი გაბედავამ. (ინტერპრესნიუსი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# მარიამ რამინაშვილი: „პრემიერმა განათლების სისტემაზე საუბრისას საზოგადოებას სიცრუის შემცველი ბევრი ინფორმაცია მიაწოდა"

**„ვფიქრობ, პრემიერი უნდა ამოწმებდეს ინფორმაციას და მაღალი ტრიბუნიდან ტყუილებს არ უნდა საუბრობდეს"**



*პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სამწლიანი მმართველობის შეფასებისას, განათლების სისტემაზეც ისაუბრა: რომ 500 ათასი ბავშვი წიგნებს უფასოდ მიიღებს; ლისის ტბის ფერდობზე სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებელი შენდება; 2012 წლიდან განათლების და მეცნიერების ბიუჯეტი 55.6%-ით არის გაზრდილი და ა.შ. რა ხდება რეალურად განათლებაში?*

**„ალიას" არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო ალიანსის" ხელმძღვანელი, მარიამ რამინაშვილი ესაუბრა:**

– პრემიერმა განათლების სისტემაზე საუბრისას საზოგადოებას სიცრუის შემცველი ბევრი ინფორმაცია მიაწოდა, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებისთვის ყოველთვის საჭირბოროტო იყო და არის, რომელი მიმართულებითაც ყოველთვის, წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამ კეთდებოდა, თუმცა, ბოლო დროს უკუღმართად გაგრძელდა ამ საკითხებზე მუშაობა.

**— რა საკითხებს გულისხმობთ?**

– პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებ შემდეგ საკითხზე

**— პრემიერმა ხაზგასმით განაცხადა, რომ პედაგოგთა საბაზო ხელფასი უკვე 65%-ითაა გაზრდილი და 2016 წლისთვის 70%-ზე ავა მატება.**

**ამ საკითხზე მოკლედ შემიძლია გითხრათ, რომ 2015 წლის სექტემბრიდან, 305-ლარიანი საბაზისო ხელფასი, დღეისთვის, მხოლოდ 355 ლარს აღწევს. ამას თუ პროცენტულად დავთვლით, საშუალოდ 16%-იან მატებაზეა საუბარი. 305-ლარიანი საბაზისო ხელფასი და დაგეგმილი 50-ლარიანი მატება, აპრილში, რომლის მერეც საბაზისო ხელფასი 405 ლარს მიაღწევს, არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს 70%-იან მატებას.**

ასევე, პრემიერმა, მთავრობის მიღწევებზე საუბრისას, ხაზი გაუსვა სასკოლო ავტობუსების პროექტს. უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლიდან დაიწყო ეს პროგრამა, რომლის გაფართოებაც მაშინვე იყო წლებთან მიმართებაში დაგეგმილი. საერთო ჯამში, მთელი საქართველო უნდა მოეცვა ამ პროექტს. თავიდანვე იყო გათვლილი, რომ რაიონებს თავად შეესყიდათ ეს ავტობუსები, რათა თავადვე ყოფილიყვნენ მისი პატრონები და მათვე განესაზღვრათ მისი გამოყენების საათების ოდენობაც და ვალდებულებაც, რადგან სკოლებს შესაძლოა, სხვადასხვა საჭიროებისთვისაც მოეხმარათ ეს ავტობუსები, რაც კიდევ უფრო მოქნილს ხდიდა ამ პროექტს. 2012 წლიდან, რატომღაც, სახელმწიფომ, ავტობუსების შესასყიდად, ტენდერის გამოცხადების პრაქტიკას მიმართა, რაც გაცილებით მეტ თანხას მოითხოვს, ვიდრე ადრე მოითხოვდა.

პრემიერმა, ასევე, დიდი მნიშვნელობა მიანიჭა უფასო სახელმძღვანელოების საკითხს. აქვე ვიტყვი, ამ წელმა კიდევ უფრო ნათლად აჩვენა, რომ ეს პროექტი განსაკუთრებით მანკიერია თავისი არსებობით, რომელიც საგანმანათლებლო პროცესს ხელს უფრო უშლის, ვიდრე ხელს უწყობს და არც კი წარმოადგენს შეღავათს მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის. ამ პროექტით, ვისაც მართლაც სჭირდებოდათ უფასო სახელმძღვანელოები, იმათ უფრო გაუჭირდათ სასწავლო პროცესის წარმართვა.

**— რატომ?**

**— 2012 წლისთვის, ჩვენ უკვე გვქონდა 70 ათას ქულამდე სოციალურად დაუცველთა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის უფასო სახელმძღვანელოების პროექტი. ეს იყო საზოგადოების ის ნაწილი, რომელთაც მართლაც რომ სჭირდებათ სახელმძღვანელოები. ამ ადამიანებისთვის, მართლაც დიდი შეღავათი იყო უფასო სახელმძღვანელოები და პასუხობდა საყოველთაოობის პრინციპს. დღეს, იმ ოჯახებისთვის, რომელთათვისაც არ წარმოადგენს პრობლემას სახელმძღვანელოების ყიდვა, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან იფლანგება დიდი ოდენობით თანხები. სულაც არ მიმაჩნია წარმატებად იმ ადამიანთათვის თანხების ფლანგვა, რომელთაც არ სჭირდებათ სახელმწიფოსგან მსგავსი ტიპის დახმარება.**

წელს იყო სიტუაცია, როდესაც არ არსებობდა საკმარისი რაოდენობის სახელმძღვანელოები. ვისაც ჰქონდა საშუალება, ბაზარზე გავიდნენ და იყიდეს თავიანთი შვილებისთვის, ხოლო, ვისაც არ ჰქონდათ ფინანსური შესაძლებლობა, დარჩნენ სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ამ სასწავლო პროცესისთვის უვარგისი სახელმძღვანელოებით, რაც გახდა სასწავლო პროცესის შემაფერხებელი ფაქტორი. ასე რომ,

**ასეთი რიხით დაანონსებული უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა სულაც არ არის დიდი გამარჯვება და წინ გადადგმული ნაბიჯი, პირიქით, ეს გამოდგა განათლებაში ხელისშემშლელი ეტაპი. განსაკუთრებით იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც მართლა ესაჭიროებოდათ მსგავსი ტიპის დახმარება.**

სხვათა შორის, პირველკლასელისთვის, მოტივაციის თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჰქონდეს ახალი სახელმძღვანელო. ასევე, სუფთა სანიტარიულ-ჰიგიენური თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა იმას, რომ უსაფრთხო იყოს წიგნი მოსწავლისთვის. ეს საკითხი, რეალურად დაიწყო 2009 წელს და პირველ წელს იმ სოციალურად დაუცველებს გადაეცემოდათ, რომლებსაც ჰქონდათ 45 ათასამდე ქულა. მომდევნო წელს გაიზარდა 70 ათას ქულამდე, ხოლო მესამე სასწავლო წელს დაემატათ მრავალშვილიანები, რომელთა წლიური შემოსავალიც არ უნდა ასცდენოდა 40 ათას ლარს. ამ მონაცემების მქონე ოჯახების შვილებს გადაეცემოდათ სახელმძღვანელოები. ეს იყო სწორი ფორმულირება, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან თანხები წასულიყო მხოლოდ იმ ოჯახების დასახმარებლად, რომელთაც ეს მართლა სჭირდებოდათ.

გარდა ამისა, ამ პრობლემას, რაც საყოველთაო სახელმძღვანელოებს უკავშირდება, ემატება დაგვიანებული გრიფირების წესის შემოღება. სახელმწიფო და სამინისტრო ცდილობს, რაც შეიძლება ცოტა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა ახალი სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხში, რათა დარჩეს ერთი სახელმძღვანელო, რომლის დაბეჭდვაც მერე გაუიოლდებათ და პრობლემას აღარ შეუქმნით. თუ ჩვენ მივალთ იქამდე, რომ უფასო სახელმძღვანელოების პროექტი შეიწირავს არჩევითი სახელმძღვანელოების პროგრამას სკოლებში, რომელიც, თავის მხრივ, განათლების ხარისხს შეიწირავს, ამის მერე საზოგადოებამ განსაჯოს, რა უფრო მნიშვნელოვანია – მდიდარი ოჯახისშვილებისთვის სახელმძღვანელოების შეძენა თუ ხარისხიანი განათლება.

**— რა ხდება — პრემიერ-მინისტრი თავად ტყუის თუ მცდარ ინფორმაციას აწვდიან?**

– იმედს ვიტოვებ, რომ პრემიერ-მინისტრს ინფორმაციას აწვდის არაკომპეტენტური წყარო და ვფიქრობ, პრემიერი უნდა ამოწმებდეს ინფორმაციას და მაღალი ტრიბუნიდან ტყუილებს არ უნდა საუბრობდეს.

**— ბიუჯეტის ზრდაზეც ისაუბრა პრემიერმა. ეს ხომ არ არის ტყუილი?!**

– განათლების ბიუჯეტი ზუსტად ისეთი პროპორციით იზრდება, რა პროპორციითაც იზრდებოდა 2003 წლიდან. ეს არის ლოგიკური და ამაში ახალი არაფერია. გაცილებით დიდი პროცენტული ზრდა გვქონდა წლის დასაწყისში, ვიდრე 2012 წლიდან დღემდე. ამიტომაც მინდა გითხრათ, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა ამ მხრივაც ბოლო სამი წლის განმავლობაში.

**ასევე, საბავშვო ბაღებს შევეხები — ეს საკითხი, ისევეა სოციალური პროექტი, როგორიც იყო 2012, 2011 და 2010-შიც. არაფერი არ შეცვლილა ამ მიმართულებითაც. ამიტომ, როდესაც ამ საკითხზე სახელმწიფო 2017 წლამდე არ აპირებს ცვლილებას, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ პრემიერმა დღეს თქვას, რომ ასეთი აქტივობა უკვე განხორციელდა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გავლენის ქვეშ არიან საბავშვო ბაღები. სხვათა შორის, ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით, სამინისტრომ გააკეთა ის, რომ სკოლამდელთა ასაკი შეცვალა და ათასობით ბავშვს უარი ეთქვა სკოლაში შესვლაზე.**

ბაღების პროგრამა დღემდე მერიის ბიუჯეტით დგება და ის ასე რჩება სოციალურ პროექტად.

**ასევე, პრემიერი შეეხო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას, რომელიც სამინისტრომ მოიფიქრა საიმისოდ, რომ პედაგოგები გააჩუმოს, რომ მათ ხელფასების მატებაზე ხმა არ ამოიღონ. მთავრობას, რეალურად ხელფასების მატებაზე არაფერი გაუკეთებია და მეტიც, მოტივაცია აღარ არსებობს პედაგოგებში ამ მხრივ წინსვლაზე.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ქარელის ყოფილმა გამგებელმა მოქმედი გამგებლის თანაშემწეს ყური მოაჭამა



ქარელის მუნიციპალიტეტის ყოფილმა გამგებელმა ემიკო ფეიქრიშვილმა მოქმედი გამგებლის თანაშემწეს ილია ქელეხსაშვილს ყური მოაჭამა. ინციდენტი დაპირისპირებას მოჰყვა, რომელიც ფეიქრიშვილსა და ქელეხსაშვილს ამჟამინდელ გამგებელთან დაკავშირებით მოუვიდათ. როგორც ფეიქრიშვილი ამბობს, ის წინააღმდეგია ქარელის ამჟამინდელი გამგებლის ზაზა გულიაშვილის დანიშვნის და მიზეზად მის წარსულს ასახელებს. რაც შეეხება მომხდარს, საქმე სსკ 113-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ მსუბუქად დაზიანებას გულისხმობს და თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით ითვალისწინებს. თავად ემიკო ფეიქრიშვილი კი თავს დამნაშავედ არ ცნობს, რადგან, მისი თქმით, მხოლოდ თავს იცავდა.

– კონკრეტულად რა მოხდა, ველარ ვიხსენებ, თუმცა, როდესაც სამართალდამცველები მოვიდნენ და მითხრეს, რა შედეგით დამთავრდა ჩვენი დაპირისპირება, ამის შემდეგ შემიძლია, დავადასტურო, რომ ქელეხსაშვილს ყური აღარ აქვს, – ამბობს ფეიქრიშვილი.

ამიკო ფეიქრიშვილი ამჟამად ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის, ლერი ხაბელოვის თანაშემწედ მუშაობს. (პირველი რადიო)

## პროკურატურის მრჩეველი გიორგი ინწკირველი დააკავეს



წუხელ პროკურორის მრჩეველი, გიორგი ინწკირველი და მისი ძმა დაკავეს. მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნათია სუხიაშვილის ინფორმაციით: „მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ დაკავებულია პროკურატურის მრჩეველი, გიორგი ინწკირველი, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის, იარაღის უკანონო ტარების და მუქარის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ს 151-ე 353-ე და 236-ე მუხლებით", – აცხადებს სუხიაშვილი. (ნიუპოსტი)

**„ალია" უკვე წლებია ამ თემაზე წერს და იარაღის ტარების უფლება არათი პროკურატურის მრჩეველს, ნებისმიერ ფსიქიკურად ჯანმრთელ და კანონმორჩილ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს, მაგრამ ესმის ვინმეს?**

## კახა კახიშვილმა „ვოისში" მონაწილე მსჯავრდებული, თეონა ყოლბაია გაათავისუფლა

„ვოისის" შოუს მონაწილე მსჯავრდებულმა პატიმარმა, თეონა ყოლბაიამ გათავისუფლების შესახებ მინისტრისგან, კახა კახიშვილისგან სიმღერის დასრულების შემდეგ შეიტყო.

ვადამდე ადრე გათავისუფლების კომისიის საბჭოს დასკვნა სცენაზე სასჯელაღსრულების მინისტრმა წაიკითხა, ხოლო თეონა ყოლბაიას გათავისუფლების ცნობა გადასცა.

„აქედან შენი პირადი ნივთების ასაღებად ბადრაგის მანქანა ველარ წაგიყვანს, დაგითმობთ პირად ავტომობილს, რომელიც მოაგვარებს ამ საკითხს", – განაცხადა კახიშვილმა. (რეპორტიორი)

დღეს ქმრის და მცირეწლოვანი შვილის მკვლელობაში ბრალდებული 25 წლის მაგდა პაპიძე სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. შემდეგი სასამართლო სხდომა თებერვალში გაიმართება. მანამდე კი არსებობს უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა, რომელიც შემზარავი კრიმინალური ფაქტით გაოგნებულ საზოგადოებას აინტერესებს. ვინ არის ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც ასეთი უმძიმესი დანაშაული ბრალდება? - ის მართლაც ცივსისხლიანი მკვლელია, როგორც გამოძიება ირწმუნება, თუ უდანაშაულო მსხვერპლი, ვისაც სასტიკ დანაშაულს აბრალებენ?

მივყვეთ მოვლენების მიმდინარეობას:

20 დეკემბერს საქართველო უმძიმესმა ინფორმაციამ შეძრა: დიღომში ახალგაზრდა ქალმა, სავარაუდოდ, ქმარი და 5 წლის შვილი მოკლა. მაგდა პაპიძე პოლიციამ იმავე დღესვე დააკავა. მოგვიანებით მას განზრახ მკვლელობისთვის ბრალი წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი ბრალდებულ მაგდა პაპიძის დედამაც გააკეთა. მე მკვლელი შვილი არ გამიზრდია, - თქვა ლია შამუგიამ.

შამუგიას თქმით, პაპიძე თავის მცირეწლოვან შვილს არ მოკლავდა. მეუღლეებს შორის კონფლიქტის შესახებ კი მან არაფერი იცოდა.

ბრალდების მხარის იმასაც აცხადებს, რომ არსებობს ვიდეო, თუ როგორ ყრის ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძე სისხლიან ტილოებს. თავად მაგდა პაპიძე სასამართლოს ამ მომხდარის ამ ვერსიას უყვება: პაპიძის თქმით,

„მისი მეუღლე და შვილი სახლიდან ღამის 11 საათზე გავიდნენ და შინ დაბრუნება დააგვიანდათ. ის შეეცადა, მეუღლეს ტელეფონზე რამდენჯერმე დაკავშირებოდა. თუმცა, მის ქმარს მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა. ბრალდებულის მტკიცებით, მას ჩაეძინა და ღამის 3 საათზე გამოღვიძებული სახლიდან ოჯახის წევრების საძებნელად წავიდა. თუმცა, სახლიდან გამოსვლისას კართან მოკლული მეუღლე ნახა, შვილი კი გაგუდული დახვდა.

პაპიძის თქმითვე, მას მეუღლესთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. "19-ში ჩემმა შვილმა, თორნიკემ სთხოვა მეუღლეს, ომარს, გასულიყვნენ გარეთ ხაჭაპურის საჭმელად. ისინი გარეთ გავიდნენ ძალიან თხლად ჩაცმულები. როდესაც დააგვიანეს, მე დედამთილს, ლილის ვთხოვე, დაერეკა ომართან, მე არ დავურეკე ომარს, რადგან მასთან დაძაბული ურთიერთობა მქონდა. თუმცა ომარს ტელეფონი გათიშული ჰქონდა. ეს ჩვენ არ გაგვკვირვებია, რადგან მისი ტელეფონი ხშირად ჯდებოდა ხოლმე. ამასთან, მე ვიცოდი, რომ ისინი მანქანით ვერ წავიდოდნენ, რადგანაც რამდენიმე დღის წინ ომარმა განმიცხადა, რომ ის მანქანით უბნიდან ვერ გავიდოდა, ზედმეტი კითხვების დასმა კი კვლავ ამიკრძალა. მე დაღლილი ვიყავი და იმ ღამით ჩამეძინა ლოდინში. 3 იყო დაწყებული, როდესაც გავიღვიძე და გადავწყვიტე საძებნელად წავსულიყავი. გარეთ გავედი, სადარბაზოდან გასასვლელში ვიწრო ადგილია, სადაც ფეხი წამოვკარი რაღაცას და დავეცი. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მე ომარზე დავეცი. ამის შემდეგ, მეგონა, რომ ის მთვრალი იყო და წაიქცა. ხშირად იყო ხოლმე, რომ ნასვამი ბრუნდებოდა სახლში. მე სისხლი არ დამინახავს. არ მიფიქრია, რომ მეუღლე და ჩემი შვილი ცოცხლები არ იყვნენ. ამის შემდეგ წავედი მანქანის გადასაყენებლად, რადგან მინდოდა ჩემი შვილი და მეუღლე მანქანაში ჩამესვა. მანქანაში ვერ ჩავსვი და ამის შემდეგ დავიწყე ყვირილი. რის შემდეგაც ჩემი დედამთილი ლილი და მეზობლები გამოვიდნენ. ამის შემდეგ მე ჩემი შვილი და მეუღლე არ მინახავს და პოლიციაში მითხრეს, რომ ორივე მე მოვკალი და ბრალი მქონდა წარდგენილი. ამას მე არ ვაღიარებ", - განაცხადა პროცესზე პაპიძემ.

ბრალდებულის თქმითვე, 19 დეკემბრამდე, მისი ქმრისა და შვილის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მისმა მეუღლემ გადაწყვიტა ურო ეყიდა, რათა გარკვეული სამუშაოები ეწარმოებინა. როგორც მაგდა პაპიძე სასამართლოზე ყვება, მან მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მეუღლე და მისი შვილი უგონოდ იყვნენ, პირველად ურო იმიტომ გადააგდო ნაგვის ურნაში, რომ შეეშინდა, რადგანაც მისი მეუღლე ომარი ხშირად ემუქრებოდა მას.

"ერთ დღეს, ომარმა მე წამიყვანა ისე, რომ არ მითხრა, სად მივყავდი. გააჩერა ტაქსი და ამიყვანა ჯვარზე. შემდეგ იქ ფეხის წვერებზე დამაყენა და ცინიკურად რაღაც კითხვებს მისვამდა. ამის შესახებ მე ჩემს მეგობარს, ოთარ ბერძენიშვილს მოვუყევი. როდესაც ომარი სვამდა, აგრესიული იყო და სწორედ ამიტომ შემეშინდა, როდესაც წაქცეული დავინახე, ვიფიქრე, ნასვამი იყო და მე გადავწყვიტე აღნიშნული ურო გადამეგდო", - განაცხადა მაგდა პაპიძემ.

საქმის პროკურორის თქმით, გარდაცვლილ ომარ ქაფიაშვილს თავის არეში აღენიშნება ბლაგვი საგნით მიყენებული ჭრილობა, რაც შესაძლოა სწორედ უროთი იყოს მიყენებული. სწორედ ამიტომ, პროკურორი დაინტერესდა თუ რატომ გადააგდო ბრალდებულმა მაგდა პაპიძემ პირველ რიგში ურო. ასევე პროკურორი დაინტერესდა, თუ რატომ იყო ოთახი სისხლიანი. მაგდა პაპიძემ პროკურორის კითხვებზე განაცხადა, რომ ოთახი იმიტომ გასისხლიანდა, რომ ის ოთახში მანქანის გასაღების ასაღებად ავიდა, რადგან მისი უგონოდ მყოფი მეუღლე და შვილი საავადმყოფოში გადაეყვანა.



## მსხვერპლი თუ ცივსისხლიანი მკვლელი? - მაგდა პაპიძის საქმე და ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები

დღეს გამართულ სასამართლო პროცესზე პროკურატურის და დაცვის მხრიდან სრულიად განსხვავებული ვერსიები იქნა წარმოდგენილი. პროკურატურის მტკიცებით, პაპიძე დამნაშავეა და მისი პირველი ჩვენება, სადაც მან ბრალი აღიარა, რეალური იყო. ცნობილია, რომ მოგვიანებით პაპიძემ ჩვენება შეცვალა და თავი უდანაშაულოდ გამოაცხადა.

მაგდა პაპიძის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავებას აპროტესტებს და აცხადებს, რომ პაპიძე უდანაშაულოა და მისი დაპატიმრება საჭირო არ იყო, რადგან გამოძიებას ხელს არ შეუშლიდა. მაგდა პაპიძეს ასევე სურდა თავისი ქმრისა და შვილის დაკრძალვაზე დასწრება", - განაცხადა მაგდა პაპიძის ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ.

დღევანდელ სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ პაპიძეს მეგობარი მამაკაცი, ოთარ ბერძენიშვილი ჰყავდა, რომელიც ცოლ-ქმრის მეზობლად ცხოვრობდა. გამოძიებამ მამაკაცი დაკითხა, რომელმაც გავრცელებული ინფორმაციით პაპიძის წინააღმდეგ ჩვენება მისცა.

პროკურორ ელენე ჩხეიძის თქმით, ყველა ნივთმტკიცება ამოღებულია გამოძიების მიერ და დანიშნულია ექსპერტიზა. ნაგვის ბუნკერიდან ამოღებულია ასევე მაგდა პაპიძის შვილის ფოტოები, რომელიც გამოძიების მტკიცებით მან მკვლელობის შემდეგ გადაყარა. არაოფიციალურად ვრცელდება დაუდასტურებელი ინფორმაციაც, რომ მაგდა პაპიძემ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე სოციალურ ქსელში აქტივირებული ქმრის და შვილის ფოტოები მთლიანად წაშალა.

პროკურატურამ დღეს კიდევ ერთხელ ისაუბრა მოტივზე. ჩხეიძის თქმით, მკვლელობის მოტივი იყო ის, რომ ბრალდებული მაგდა პაპიძე ვერ იტანდა მეუღლეს და მასთან ჰქონდა კონფლიქტი.

თავად ბრალდებული მაგდა პაპიძე დანაშაულს არ აღიარებს, თუმცა, მეუღლესთან ცუდ ურთიერთობას ადასტურებს და ამბობს, რომ მისი 27 წლის ქმარი პათოლოგი იყო, მას სულ ეჩხუბებოდა და აწამებდა.

პაპიძის თქმით, მას მეუღლის მიმართ ზიზღი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც სხვა მამაკაცი შეუყვარდა.

არაოფიციალურად სხვა დაუდასტურებელი ინფორმაციებიც ვრცელდება. სოციალურ ქსელში მონათხრობის ერთ-ერთი ვერსია ასეთია: „ფაქტობრივად გახსნილია ეს საქმე... ამ გოგომ მოკლა ქმარ-შვილი... შემდეგ დედამთილს დაურეკა, ხაჭაპურზე გავიდნენ და არ ჩანანო... მერე დედამთილი რომ აფორიაქდა, უთხრა რომ სახლში არ ჩამოხვიდეო, მოვიდნენ ახლაო. 2-ის ნახევარზე თქვა ეგ. მერე ბავშვი გაიტანა. ნივთები შორს გადაყარა, ურო სისხლიანი ზეწრები და ქმარს რომ მიათრევდა, მოწმემ დაინახა, მეზობელმა... ამიტრომაც კივილი ატეხა, ვითომ იმ წამს ნახა. მისი ქმარი პათოლოგი კი არა საერთოდ არ სვამდა. პირიქით ყველას წყინდა მის ახლობლებს რომ სწერვა და კაპრიზულ გოგოს ყველაფერს უთმობდა აბსოლუტურად. ძალიან უყვარდა ცოლი და ბავშვი. ბავში სანამ მამა არ მოვიდოდა საჭმელს არ ჭამდა. ცოლსაც უყვარდა , ყოველ შემთხვევაში კონფლიქტები არ ჰქონიათ. გოგო ფიზიკურად ძლიერია, ფრენბურთელი იყო - გაუცინარი, უმეგობრო და ჩაკეტილი...

სახლში არის სისხლის კვალი კი არა ყველაფერი. ამ გოგომ სახლი დაალაგა, დააწკრიალა მარა სისხლის კვალი დარჩა. სპეციალური საშუალების გამოყენების მერე ვიზუალურად უხილავი გახდა გვამის მდებარეობა და გათრევის კვალი კი ჩანს. კარის მერე უკვე ხილული კვალიც არის. ანუ საღამოს მოკლა და ხალხმა რომ დაიძინა, მერე გაათრია და შემთხვევით მოწმემ დაინახა," - წერს ერთ-ერთი მომხმარებელი. მეორე მომხმარებლის თქმით, „გამომძიებლებმა თქვეს, რომ ბევრი ფსიქოპატი შეგხვედრიაო, ასეთი ცივსისხლიანი კი ჯერ არაო. უემოციოდ პასუხობს და კიდია ყველაფერიო," - წერს ერთ-ერთი მომხარებელი.

გამოძიების დასრულებამდე ალბათ კიდევ უამრავი ოფიციალური და არაოფიციალური ვერსია გავრცელდება. შემდეგი სასამართლო სხდომა მომავალი წლის თებერვლისთვისაა ჩანიშნული. (presa.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თინა ხიდაშელი მურუსიძის კანდიდატურაზე — ირინა ენუქიძე უნდა გვახსოვდეს, როდესაც ასეთი ტიპის გადაწყვეტილებებს მივიღებთ



საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებით, როდესაც ლევან მურუსიძის მოსამართლეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებ, უნდა გახსოვდეს ირინა ენუქიძე. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა პრეზიდენტის რეზიდენციაში ირინა ენუქიძის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოების შემდეგ განუცხადა. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რა მოსაზრება აქვს თავდაცვის მინისტრს ლევან მურუსიძის მოსამართლეობის კანდიდატურასთან დაკავშირებით.

– მე ვარ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი. როგორ გულითაც არ უნდა მინდოდეს ამ თემაზე კომენტარის გაკეთება, ვერ გავაკეთებ. ნებისმიერი სიტყვა, რომელსაც მე ვიტყვი, იქნება ბევრი სპეკულაციის საგანი, რომ ვერევი სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში. ერთადერთ რამეს ვიტყვი, დღევანდელი დღე და ირინა ენუქიძე უნდა გვახსოვდეს, როდესაც ასეთი ტიპის გადაწყვეტილებებს მივიღებთ, – განაცხადა ხიდაშელმა. მანვე ისაუბრა ირინა ენუქიძის შესახებ. როგორც ხიდაშელმა აღნიშნა, თუკი შესაძლოა, ვისაუბროთ იმაზე, რომ არსებობს დედა, რომელმაც გადაარჩინა სხვა დედის შვილები, ალბათ, ასეთები ირინა ენუქიძე და ია მეტრეველი არიან. (ინტერპრესნიუსი)

## დავით პეტრიაშვილი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის დაჯახების შედეგად გარდაიცვალა




უეფას ეროვნულ ფედერაციებთან ურთიერთობის მენეჯერი, დავით პეტრიაშვილი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის დაჯახების შედეგად გარდაიცვალა. ინფორმაციას ადასტურებს მთავარი პროკურატურა. შემთხვევა 21 დეკემბრის გამთენიისას პეკინისა და ბახტრიონის ქუჩების კვეთაზე მოხდა. პეტრიაშვილი ქვეითად გზაზე გადადიოდა, როცა მას საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი დაეჯახა.

საქმეს მთავარი პროკურატურა იძიებს. ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. პროკურატურის პრესსამსახურის თქმით, გამოძიებას ამ დროისთვის არავინ დაუკავებია.

დავით პეტრიაშვილს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა როგორც ქართულ ფეხბურთში, ისე უცხოურში. პეტრიაშვილი იკავებდა უეფა-ს და ფიფა-ს მატჩების დირექტორის თანამდებობას, იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და თბილისის „დინამოს" ყოფილი მმართველი დირექტორი. (პირველი რადიო)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## აღმოჩნდა, რომ ქალების — 4, ხოლო კაცების 6 პროცენტში სიკვდილს ყოფით პრობლემებზე ჩხუბი იწვევდა



ადამიანებთან ჰარმონიული ურთიერთობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პარტნიორთან, მეზობლებთან, ნათესავებთან კონფლიქტი ნაადრევ სიკვდილს იწვევს და თუ გაითვალისწინებთ ამ ამბავს, ისევ თქვენ წაგადგებათ!..

კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მეცნიერები 1 წლის განმავლობაში ატარებდნენ კვლევას, რომელშიც 9 ათასზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ქალების – 4, ხოლო კაცების 6 პროცენტში სიკვდილს ყოფით პრობლემებზე ჩხუბი იწვევდა. მათი ნახევარი სიმსივნით გარდაიცვალა, ზოგი გულის დაავადებებით და ზოგმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მათგან ყოველი მეათე მონაწილე ამბობდა, რომ ყველაზე მეტად ბავშვებსა და პარტნიორებს ეჩხუბებოდნენ.

სიკვდილის რისკს ორმაგად ზრდის პარტნიორისგან გამუდმებული მოთხოვნები. ამავე მიზეზით რისკის ქვეშაა ბავშვების 50 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ, თუ კონფლიქტურ ადამიანს დიდი ხნის განმავლობაში სამსახური არ ჰქონია, სიკვდილის რისკი 4.5-ჯერ იზრდება.

სპეციალისტები გვირჩევენ, ხშირად გავიღიმოთ და უფრო კეთილები ვიყოთ ერთმანეთის მიმართ. რა უდგას ამ ორს წინ? – არაფერი.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## აჰა, ესეც სიახლე — მაღალ ანაზღაურებას ოჯახის დანგრევა შეუძლია



ჩვენ კი გვეგონა, რომ, თუ წელებზე ფეხს დავიდგამდით, დღესა და ღამეს მუშაობაში გავასწორებდით და მაღალ ხელფასს მივიღებდით, ჩვენც და ჩვენი ოჯახიც უფრო ბედნიერი იქნებოდა, თუმცა ყოვლისმჩხრეკმა მეცნიერებმა კიდევ, ვერ მოგართვითო და დროა, როგორც სხვა არაერთი, მაგ სტერეოტიპისგანაც განთავისუფლდეთო.

თურმე, მაღალი ანაზღაურება ხომ იწვევს ოჯახური იდილიის დარღვევას და ქმარს თუ ცოლზე ნაკლები ხელფასი აქვს, ხომ საერთოდ წასულია ოჯახური ურთიერთობების საქმე. მკვლევარმა ბრძანა, კაცი, როგორც ოჯახის მარჩენალის სტატუსის მქონე, ემოციურ უკმაყოფილებას განიცდისო. ცოლზე მეტიც რომ ჰქონდეს ხელფასი, მაინც ისეთ სტრესშია და ისეთ ემოციურ ზეწოლას განიცდის, საბოლოოდ ფსიქოლოგიურ დესტაბილიზაციამდე მიდისო.

აბა, აი, ამიტომ არ გვაქვს ჩვენს ქვეყანაში მაღალი ანაზღაურება, ისევ ჩვენ რომ არ დავზარალდეთ, თორემ განა სხვა მიზეზია რამე?..

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## იმისთვის, რომ ხშირად გაიღიმოთ: კბილების გათეთრების უნიკალური მეთოდი!



გაიღიმე ხშირად, ღიმილი ხომ წარმატებული დღის უფასო გარანტიაა! იმისთვის, რომ შენი კბილები მარგალიტივით თეთრი იყოს და უფრო ხშირად და სიამოვნებით გაიღიმოთ, გთავაზობთ კბილების გათეთრების ბუნებრივ და ძალიან ეფექტურ მეთოდს. ეს მათეთრებელი საშუალება: მოგაცილებთ ნადებს, კლავს ბაქტერიებს პირის ღრუში და კბილის ემალს დაზიანებისგან იცავს. ინგრედიენტები:

1 ს/კ ზეითუნის ზეთი ან წყალი

1 ჩ/კ კურკუმა (ინდური სანელებელი, იყიდება სუნელებში)

გამოყენება: კარგად გახსენით კურკუმა წყალში ან ზეთში. ჩააწეთ კბილის ჯაგრისი მომზადებულ მასაში და გაიხეხეთ კბილები ჩვეულებისამებრ. გაიჩერეთ მასა პირში კბილების გახეხვის დასრულებიდან კიდევ 3-5 წუთი. შემდეგ კი წყალი გამოივლეთ. დაიმახსოვრეთ, პირის ღრუს სწორი ჰიგიენისთვის აუცილებელია კბილების დღეში ორჯერ გახეხვა: საუზმის შემდეგ და ძილის წინ. რეკომენდებულია, გამოივლოთ წყალი პირში საკვების ყოველი მიღების შემდეგ და კვირაში 2-ჯერ გამოიყენოთ კბილების მათეთრებელი ბუნებრივი საშუალება. მაგალითად, ის, რომელიც ახლა გასწავლეთ.

*marao.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## 4 დღით ტუალეტში ჩაკეტილმა ბებიამ შვილიშვილისთვის კაშნე მოქსოვა



ბავშვებისგან გასაკვირი არაფერია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ბებია-ბაბუების წვალებასა და მათთვის ახალი ოინების მოფიქრებას ეხება საქმე, მაგრამ ამჯერად შვილიშვილი არაფერ შუაშია.

როგორც ირკვევა, სუფოლკის საგრაფოს ქალაქ ფილიქსტოუში მცხოვრები 82 წლის გლედის ფილიპსმა მოახერხა და სავაჭრო ცენტრის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ტუალეტში შემთხვევით თავად გამოიკეტა თავი.

თურმე ტუალეტის ეს ახალი კაბინები მაღალტექნოლოგიური პრინციპებით კეთდება და როდის იღება და როდის იკეტება, ვერაფერს გაუგებ. თანაც ჯერ დამთავრებულიც არ იყო. ჰოდა, შევიდა ბებია და ჩაიკეტა მთელი 4 დღით. ცოტაც და შობის ტუალეტში გატარება მოუწევდა.

4 დღის შემდეგ მისულ მუშებს დახვდათ ბებია საქსოვი ჩხირებით.

„კართან ვიდექი და ვყვიროდი, მაგრამ ხმა ვერავის გავაგონე. კიდევ კარგი, რომ ახალი, ძაფის ჭრელ-ჭრელი გორგლები მქონდა შეძენილი, არასად მეჩქარებოდა და ერთ-ერთი შვილიშვილისთვის საშობაოდ კაშნეს მოქსოვაც მოვასწარიო", – განაცხადა მზრუნველმა ბებიამ.

ამ დროის განმავლობაში გლედის ფილიპსი პიტნის კანფეტებით იკვებებოდა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## საიუველირო მაღაზიის თანამშრომელმა ნაგავში ალმასები გადაყარა



ზარალიც არის და ზარალიც, 5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამკაულებს რომ დაკარგავ ზარალი კი არა, უკვე ტრაგედიაა.

ნიუ-იორკის საიუველირო მაღაზიიდან მოულოდნელად გაქრა ალმასები. გამოძიების შედეგად კი აღმოჩნდა, რომ ალმასები კი არ გამქრალა, ან მოუპარავთ, როგორც ვარაუდობდნენ, არამედ ერთ-ერთ თანამშრომელს ნაგავი ჰგონებია (საერთოდ, ძნელია ალმასის ნაგვისგან გარჩევა, მით უმეტეს, თუ არასოდეს გქონია) და ბუნკერთან ადგილიც მიუჩენია.

მოგვიანებით პოლიციელებმა ვიდეოკამერების მეშვეობით გამოიძიეს, რომ აღნიშნული თანამშრომელი უფროსს სხვა სართულზე ნივთების გადატანაში ეხმარებოდა, იქვე რამდენიმე ყუთი გადასაგდები ნაგავი იყო, ესეც ამდგარა და ალამასებიანი ყუთიც ნაგვისთვის მიუყოლებია.

სად იყო და სად არა, მაღაზიის დაცვის თანამშრომელი გამოჩნდა, რომელიც პირველ თანამშრომელზე უფრო ყურადღებიანი აღმოჩნდა და 5-მილიონიანი ყუთიც მიითვისა.

დაკითხვაზე ყველაფერი აღიარა, მათ შორის ისიც, რომ ძვირფასეულობის სრულად დაბრუნება არ შეეძლო, ვინაიდან უკვე რეალიზება მოეხდინა და გაეყიდა.

„ყურადღებიან" დაცვის თანამშრომელს ბრალად სხვისი ქონების მითვისება ედება. როგორი იქნება სასჯელი, უცნობია.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## თუ მათემატიკას არ ისწავლით, ცოლსაც ვერ მოიყვანთ(?!)



მა რა ეგონა, ისეთი გაუნათლებელი და ტეტია შეასაღებდა თავს?

ინდოეთის შტატ უტარ პრადეში დიდი ლხინი იყო გამართული. კიდევ ერთი ინდური ოჯახი იქმნებოდა. ყველაფერი კარგად იყო, სანამ სასიძო მოულოდნელად მათემატიკაში არ ჩაიჭრა – საქორწილო მანტრების დათვლა ვერ შეძლო. გაოგნებულმა პატარძალმა გადაწყვიტა იქვე, ექსპრომტად გამოცდა მოეწყო მომავალი ქმრისთვის და მათემატიკური კითხვების დასმა დაუწყო. დედა კი ეხვეწებოდა, შვილო, თავს ნუ გვჭრი, ეგ რა პატარძლის შესაფერისი საქციელიაო, მაგრამ პატარძალმა, დედა, განა საქორწილოდ გაწეული ხარჯები უფრო გენანება, ვიდრე საკუთარი ქალიშვილის უვიცზე გათხოვებაო?

აღმოჩნდა, რომ სასიძოს თვლა მხოლოდ 9-მდე შეეძლო და 69-სა და 79-ს ერთმანეთისგან ვერ არჩევდა.

პატარძლის ოჯახი ირწმუნებოდა, რომ ყოფილი სასიძო გაუნათლებელი და გონებრივად უვარგისი იყო.

რაღა გავაგრძელო და ქორწილი ჩაიშალა. ალბათ, მკითხველს ეცოდება უიღბლო სასიძო. მინდა დაგამშვიდოთ, უარყოფილმა სასიძომ მოახერხა და რამდენიმე დღეში ახალი საცოლე იპოვა, რომელზეც იქორწინა.

თვლა არ იცოდა, მაგრამ რაღაც სხვანაირად ფხიანი და მოხერხებული აღმოჩნდა.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## სალუტები ჯანმრთელობისთვის სახიფათოაო



ასეთი დასკვნა ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სალუტს ადამიანის სისხლიდან იოდის გამოდევნისთვის ხელის შეშლა შეუძლია.

საქმე ისაა, რომ ყველა სალუტი კალიუმის პერქლორიდს შეიცავს, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის მუშაობას აფერხებს. ჯანმრთელ ადამიანებს ეს არავითარ პრობლემას არ უქმნით, თუმცა სამაგიეროდ, სულ უმნიშვნელო დარღვევების მქონეებში არის დიდი რისკი, რომ ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად შეერყევათ.

გარდა ამისა, სპეციალისტები ხაზს უსვამენ, რომ სალუტების გაშვების შემდეგ, მაყურებლებს თავზე მძიმე ლითონების ნარჩენები აცვივათ, რაც, თავისთავად, ჯანმრთელობისთვის ასევე სახიფათოა. მაგალითად, სალუტის წითელი ფერის მისაღებად გამოიყენება სტრონციუმი, ცისფერისთვის რუბიდიუმი და ასე შემდეგ.

*myjane.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო ამბები... სანტერესო

## ტატუ სამკურნალო მიზნებისთვის ყოფილა შექმნილი




დრო იცვლება, მასთან ერთად იცვლება და ფორმირდება წარსული ტრადიციები. მას, რასაც საუკუნეების წინათ სხვა დანიშნულება ჰქონდა, დღეს სულ სხვა მიზნით ვიყენებთ.

ბევრი ფიქრობს, რომ ტატუ თანამედროვეობის მახასიათებელი ნიშანია, არადა ძველი ეგვიპტის კვლევისას ექსპერტებმა მუმიის სხეულზე ტატუს კვალი შენიშნეს.

ძველ ეგვიპტეში კი, თანამედროვე სამყაროსგან განსხვავებით, ტატუ თავის მოსართავი საშუალება არ ყოფილა, საამისოდ სხვა საკმარისი საშუალებებიც ჰქონდათ. ეს იყო თერაპიის განსაკუთრებული ფორმა.

კერძოდ, სნეულებს სხეულზე სამკურნალო კრემებით რგოლებსა და ჯვრებს ასვამდნენ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოჩენილ მუმიას ექსპერტიზა ჩაუტარდა. არტეფაქტებმა აჩვენეს, რომ უძველეს ადამიანს სამკურნალო მიზნებით ხის ნახშირით სხვადასხვა ნიშნები ჰქონდა დასმული.

*myjane.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## საპონი მავნე პროდუქტი აღმოჩნდა



მოკლედ, ყველა ყველაფერს თავისებურად ჭრის და კერავს. ხან რა რჩევებს იძლევიან და ხან რას უარყოფენ. ვინ იფიქრებდა, რომ ანტიბაქტერიული საპონი, რომელსაც ამდენი რეკლამა უკეთდება და ხალხი ასე ენდობა, ჯანმრთელობისთვის საზიანო იქნებოდა.

საპონი, რომელიც ბაქტერიებისგან დაცვას გვპირდება და რომელსაც ჩვენ მოვიხმართ, თურმე მავნე ნივთიერებებს შეიცავს, როგორიცაა ტრიკოლზანი და ტრიკლოკარბანი. ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თქმით, რომელმაც ლაბორატორიული კვლევა ჩაატარა, საპონი არა მხოლოდ ჰორმონალურ ფუნქციას არღვევს, არამედ სამკურნალო წამლების წინააღმდეგ მავნე ნივთიერებებს უფრო მდგრადობას ანიჭებს. ჯამში კი, იმუნიტეტს ასუსტებს.

მედიკოსები უსაფრთხოდ მხოლოდ იმ საპონს ასახელებენ, რომელიც სპირტს შეიცავს.

კიდევ კარგი, რომ საერთოდ ხელებს დაბანის საშუალება არ მოგვესპო.

*myjane.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## „მის კოლუმბია“ გამიზნულად დაამცირეს – „მის სამყაროს“ „შეცდომა“ წინასწარ იყო დაგეგმილი




„მის სამყარო 2015“-ზე მომხდარი სკანდალის ირგვლივ მითქმა-მოთქმა არ წყდება. როგორც დასავლური ტაბლოიდები ირწმუნებიან, გამარჯვებულის შეცდომით დასახელება წინასწარ იყო დაგეგმილი და „მის კოლუმბია“ გამიზნულად დაამცირეს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, „მის სამყარო 2015“-ზე დაშვებული „შეცდომა“ შეცდომა სულაც არ იყო. აღსანიშნავია, რომ შარშანდელმა „მის სამყარომ“, ასევე, კოლუმბიელმა პაულინა ვეგამ ამერიკელი პოლიტიკოსი დონალდ ტრამპი მისი რასისტული გამონათქვამების გამო გააკრიტიკა. ვინაიდან „მის სამყარო“ დონალდ ტრამპის ეგიდით ტარდება, კოლუმბიის წარმომადგენლის დამცირება გადაწყვიტეს. სკანდალური ინციდენტი ლას-ვეგასში ჩატარებული „მის სამყარო 2015“-ის ფინალზე მოხდა. კონკურსის წამყვანმა სტივ ჰარვიმ გამარჯვებულად 21 წლის კოლუმბიელი კონკურსანტი – არიადნე გუტიერეს არევალო დაასახელა. გამარჯვებულის გვირგვინი ყოფილმა „მის სამყარომ“ კოლუმბიელმა პაულინა ვეგამ კოლუმბიის წარმომადგენელს დაადგა. შეცდომის აღმოჩენის შემდეგ კი გუტიერესს შარშანდელმა გამარჯვებულმა გვირგვინი მოხსნა და ფილიპინების წარმომადგენელს, 26 წლის პია ალონსო ვურტცბახს გადასცა. გავრცელებული ინფორმაციით, კოლუმბია, როგორც ქვეყანა, „მის სამყაროს“ საორგანიზაციო კომიტეტის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს და სახელმწიფოს წინაშე ბოდიშის მოხდას მოითხოვს.

*newposts.ge*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## ტვინის რა ნაწილია სინდისზე პასუხისმგებელი?



ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს იმის დასადგენად, რაზე იყო დამოკიდებული ადამიანის სინდისი. მათ უნდოდათ, გაერკვიათ სინდისი სუფთა ფსიქოლოგიური კონცეფციაა თუ ტვინის რომელიმე ნაწილი იყო მასზე პასუხისმგებელი.

პრიმატებთან ადამიანის შედარებით აღმოჩნდა, რომ პრიმატებს ტვინის ის ნაწილი, რომელიც ადამიანებში სინდისზეა პასუხისმგებელი, არ გააჩნიათ. ადამიანებს კი, წარბებს უკან, ტვინის წინა ნაწილში აქვთ სინდისის სიგნალები, რომელიც მათ აიძულებს, კონტროლი გაუწიონ თავიანთ საქციელს, ყოველი ნაბიჯი შეაფასონ და კარგი ცუდისგან გაარჩიონ.

*globalscience.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## სამშაბათი ყველაზე ცუდი დღე ყოფილა



ასტროლოგები არ გვყოფნიდნენ, რომ გვიხარისხებდნენ დღეებს, რომელი კარგი იყო და რომელი ცუდი? ახლა ექსპერიმენტიც ჩაუტარებიათ და დადგინდა, რომ სამშაბათი ყველაზე ცუდი დღეა ადამიანებისთვის. რატომ მაინცდამაინც სამშაბათი და არა, მაგალითად, ხუთშაბათი?

აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული – თურმე ორშაბათს ადამიანებს ჯერ კიდევ აქვთ შაბათ-კვირის დასვენებისგან შემორჩენილი ემოციები და როგორღაც გადააქვთ სამუშაო დღე. მეორე დღეს, სამშაბათს კი ხვდებიან, რომ წინ სამუშაო გრაფიკით დატვირთული მთელი კვირაა, რომელმაც მათი ენერგიისა და შრომის ხარჯზე უნდა გადაიაროს. აბა, რაღა საკითხავია, რატომ არის სამშაბათი ცუდი დღე.

*myjan.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## რა სარგებლობა მოაქვს შიმშილს?



აქამდე ცნობილი იყო, რომ კვება აუცილებელია ორგანიზმის ფუნქციონირებისთვის. ჯანსაღი კვება კი ზედგამოჭრილია ორგანიზმის ზედმიწევნით ფუნქციონირებისთვის. ახლა ამერიკელი მეცნიერები გამოდიან და ამტკიცებენ, რომ შიმშილი ყველაზე სასარგებლო ყოფილა.

არა, მთლად კუჭის ფუნქციის მოშლისკენ კი არ მოგვიწოდებენ, უბრალოდ, თვეში ერთხელ 24-საათიანი დასვენება არ აწყენდა საჭმლის მომნელებელ სისტემასო.

ასეთი განტვირთვით ორგანიზმიდან შლაკები გამოიდევნება და მცირდება გულის დაავადებების რისკი.

გურმანებმა თავად გადაწყვიტონ, ულირთ თუ არა ჯანმრთელობა ერთი დღე-ღამის შიმშილად.

*globalscience.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



მიხოს ძროხა დღეში 100 ლიტრ რძეს იწველება. გაკვირვებული მეზობელი ეკითხება:

– რას აჭმევ, მიხო, მაგ ძროხას ისეთს, ამდენს რომ იწველება?

– თივი გარდა არაფერს, ჯო და ერთ ჯადოსნურ სიტყვას ვეუბნები ხოლმე ყოველ დილით.

– რა სიტყვებს?

– რასა და ყოველ დილით შევდივარ ბოსელში და ყურში ალერსიანად ჩავჩურჩულებ ხოლმე – აბა, ჩემო ჭრელა, დღეს რა გვექნება – ხორცი თუ რძე?!

*****



ავტობუსი გადაჭედილია. შუა ნაწილიდან განწირული ხმა ისმის:

– მოაშორეთ ვინმემ ეს დამპალი!

– ხელი გამიშვი, კაცო, დამპალი არ ვარ, კონდუქტორი ვარ!..

*****

– რატომ გაქვს სასმელის სუნი?!

– რა ვიცი... პროფილაქტიკისთვის მივიღე...

– რატომ?

– რომ არ გავციებულიყავი.

– და რა გაგაციებდა?!

– რა გამაციებდა და მდინარეში ვიბანავე!

– რატომ?!

– რატომ და რომ გამოვფხიზლებულიყავი!..

*****

– ქართველების 90 პროცენტი სტრესში ცხოვრობს. დანარჩენი 10 პროცენტი კი – საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, ამერიკაში, კანადაში...

*****

ცოლ-ქმარი ტყეში სეირნობს. უცბად ცოლი ამბობს:

– საყვარელო, აი, როგორი მშვენიერი ადგილია დასვენებისთვის და წახემსებისთვის.

– ჰო, მგონი, მართალი ხარ – მილიონობით ჭიანჭველა შეცდომას ხომ არ დაუშვებდა?!

*****



რესტორნის მეპატრონე კლიენტს ეტრაბახება:

– ჩვენი რესტორნის მთავარი ღირსშესანიშნაობა კუები გახლავთ...

– ვიცი, ვიცი, ერთ-ერთი გუშინ მომემსახურა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

ვენედი ბენიძე და გია ენდელაძე, ოჯახებით, სამძიმარს უცხადებენ ავთანდილ ხურციძეს მეუღლის

**ციური კბილაშვილის**

გარდაცვალების გამო.



მეუღლე ჯემალ კვირიკაშვილი, დედა ნინო სისოევა, შვილები ჯანო და გიორგი კვირიკაშვილები, რძლები ნანა მშვიდობაძე და მაკა ცინაძე, შვილიშვილები ლაშა, ანა, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ კვირიკაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიანა კვირიკაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**პანაშვიდი:** 22, 23 დეკემბერს, ზაჰესის დასახლება, ყაზბეგის ქ. №19-ში.

**გამოსვენება:** ხუთშაბათს, 24 დეკემბერს, 15.00 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების სახელობის ტაძრიდან.



მეუღლე ბელა კაჭარავა, შვილებით დავით, ზურაბ ქევანიშვილები, რძალი ნათია მეჭურჭლიშვილი, შვილიშვილები თორნიკე, ბექა ქევანიშვილები, მძახლები ნანა, ვანო მეჭურჭლიშვილები, ძმისშვილები მანანა, ირმა ქევანიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ცოლისძმა ომარ კაჭარავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბეჟან შალვას ძე ქევანიშვილი**

**პანაშვიდი:** 22, 23 დეკემბერს, 17 საათზე;
**დაკრძალვა** 24 დეკემბერს, 14 საათზე;
**მისამართი:** თბილისი, დიღმის მასივი, მე-5 კვარტალი, მე-20 კორპუსი, მე-3 სადარბაზო, მე-11 სართული.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## გულმავიწყობისგან განთავისუფლება ძალიან ადვილია?



სიბერეში საკუთარი ვინაობის ძალდატანებით გახსენება რომ არ მოგიხდეთ, ამისთვის ახალგაზრდობაშივე უნდა იზრუნოთ და ახლავე გეტყვით, როგორ:

სპეციალისტების განმარტებით, გულმავიწყობის თავიდან ასაცილებლად კვების რაციონში უნდა შეიტანოთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც ამ უსიამოვნებისგან ადვილად დაგიხსნით.

და რომელ პროდუქტებზეა საუბარი?

პირველ რიგში, უნდა იკვებოთ ოსპით, რადგან ეს პროდუქტი შეიცავს დიდი რაოდენობით რთულ ნახშირწყლებს, ამინომჟავებსა და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც თავის ტვინის უჯრედების განადგურებას სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს და აზროვნების სისხარტესაც უზრუნველყოფს.

მეორე პროდუქტია – ხახვი, რომელიც თავის ტვინის უჯრედებს ჟანგბადით ამარაგებს.

მესამე – ნიორი. პროდუქტი, რომელიც ასაკის მატების მიუხედავად, ხელს უშლის ცვლილებებს თავის ტვინში.

მეოთხე – თევზი. მასში შემავალი ნივთიერებები ხანგრძლივი და დაძაბული სამუშაოს პირობებში თავის ტვინს უკიდურესად საჭირო ნივთიერებებით ამარაგებს.

მეხუთე – თხილი და კაკალი – ორივე პროდუქტი ადამიანის თავის ტვინს სწრაფად აზროვნებისთვის საჭირო ნივთიერებით, დოფამინით ამარაგებს.

და მეექვსე – ლიმონი. მოგეხსენებათ, ლიმონი დიდი რაოდენობით ცე ვიტამინს შეიცავს, ნივთიერებას, რომელსაც თავის ტვინის არასტაბილური ჟანგბადის მოლეკულების განადგურება შეუძლია.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**myjane.ru**

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**23 დეკემბერი:** დიდია ალბათობა, საეჭვო საქმეში გაეხვიოთ. ფრთხილად იყავით და უაზროდ არ გარისკოთ. ფული არავის ასესხოთ.

**კურო 22.04-21.05**
**23 დეკემბერი:** შესაძლებლობების სრულად წარმოჩენას ვერ შეძლებთ, მუდმივად რაღაც შეგაფერხებთ. იქნებ მნიშვნელოვანი საქმეები ხვალისთვის გადაგედოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**23 დეკემბერი:** ენერგიით აღივსებით და ბევრი რამის გადაკეთება მოგინდებათ. კი გადააკეთებთ, მაგრამ უცნობია, შედეგები რამდენად მოგეწონებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**23 დეკემბერი:** საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. არ გეწყინოთ, თუ მავანნი, უკბილოდ, გაგეხუმრებიან. ამას კეთილგანწყობით გააკეთებენ.

**ლომი 23.07-22.08**
**23 დეკემბერი:** ურიგო არ იქნება, თუ ზომაზე მეტად ეგოისტი იქნებით. თვალები დახუჭეთ ყველა პრობლემაზე, საკუთარის გარდა.

**ქალწული 23.08-22.09**
**23 დეკემბერი:** ამ დღემ, წესით, არაერთი სიურპრიზი უნდა შემოგთავაზოთ. ყურადღებით იყავით, ზოგიერთი მათგანი შესაძლოა, უყურადღებობის გამო გამოგეპაროთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**23 დეკემბერი:** გეგმები ისე დაალაგეთ, რომ საჭირო მომენტში მათი შეცვლა მოახერხოთ. შეიძლება ისეთი საქმე წამოიწყოთ, რაშიც კარგად ვერ ერკვევით.

**მორიელი 23.10-21.11**
**23 დეკემბერი:** რაც უფრო გულღია იქნებით, მით უკეთ იგრძნობთ თავს. შესაძლოა, სტუმრებიც გეწვიონ. თავად გადაწყვიტეთ, გხიბლავთ ასეთი პერსპექტივა?

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**23 დეკემბერი:** შეგიძლიათ, თავს უფლება მისცეთ და გადაწყვეტილებები როცა გინდათ, მაშინ შეცვალოთ და დაპირება არ შეასრულოთ. თქვენი მომხიბვლელი ღიმილით ყველაფერს გამოისყიდით.

**თხის რქა 22.12-19.01**
**23 დეკემბერი:** ყველანაირად შეეცადეთ, იღბალი არ დააფრთხოთ. ცოტაოდენი ეშმაკობაც არ გაწყენდათ. წესით, დღეს წარმატებას უნდა მიაღწიოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**23 დეკემბერი:** რასაც ხელს მოჰკიდებთ, საუკეთესოდ გააკეთებთ. ფრთხილად იყავით, შეიძლება ყოვლისმცოდნის რეპუტაცია მოიპოვოთ, რაღაცა არ გამოგივიდეთ და შერცხვეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**23 დეკემბერი:** გეგმებს რომ დააწყობთ, გახსოვდეთ, რომ შესაძლოა, გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს. საქმეს შეუდექით და სიფრთხილე არ დაივიწყოთ.


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.


## კიბოს პროფილაქტიკის პროცესი დღეში, სულ რაღაც, ნახევარ საათს მოითხოვს



სამწუხაროდ, სხვა ბევრ დაავადებასთან ერთად, კიბო კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავის ტკივილია, რომლის მიმართაც სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს და ამ შემთხვევაში, კიბოსგან თავის დაცვას ფინელი სპეციალისტები გვასწავლიან.

მათი განმარტებით, ამ საშინელ დაავადებასთან ბრძოლა ძალიან ადვილია, უბრალოდ, საჭიროა ფიზკულტურით დაკავება, რისთვისაც დღეში 30 წუთიც სრულიად საკმარისი იქნება.

– ყოველდღიურად თუნდაც ნახევარსაათიანი ვარჯიში კიბოს გაჩენის რისკს მთელი 50 პროცენტით ამცირებს, – ამტკიცებენ ფინელი მკვლევარები.

მათი თქმით, ფიზიკური აქტიურობა ორგანიზმს ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლას მნიშვნელოვნად უადვილებს. კერძოდ, პროფილაქტიკური მიზნებისთვის შესანიშნავი ხერხია – ცურვა, სირბილი, ველოსიპედით მოძრაობა და ასევე, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და მოკლედ, ყველაფერი, რაც ადამიანს მოდუნების უფლებას არ მისცემს!

ყველაზე საუკეთესო შედეგს კი იმ შემთხვევაში მიიღებთ, თუკი ვარჯიშს ყოველდღე შეძლებთ, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ბურთით თამაშს დაუთმობთ.

**medkarta.com**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



უკმაყოფილო სვანი მაღაზიაში შევიდა, სადაც წინა დღეს პარაშუტი შეიძინა:
– არ ვარგა თქვენი პარაშუტი!
– რაშია საქმე, ბატონო?
– რაშია და არ გაიხსნა!
– მდააა... საინტერესოა...
– რა არის საინტერესო?!
– რა და თქვენ პირველი ხართ, ვინც ამ პრეტენზიით მოგვმართა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

»211359457

**გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი:** თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.15